

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური
დაგეგმარების მიმართულების
მაგისტრანტის
მარი აბრამიშვილის

ს ა მ ა გ ის ტ რ ი ნ ა შ რ ი მ ი

თემაზე:

იმერეთის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების როლი
ტურიზმის განვითარებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი გიორგი დვალაშვილი

თბილისი, 2016

სარჩევი

შესავალი	5
თავი 1. იმერეთის რეგიონის კომპლექსურ-გეოგრაფიული მიმოხილვა.....	8
1.1. მდებარეობა და საზღვრები	8
1.2. იმერეთის მხარის რელიეფის შესწავლის ისტორია.....	11
1.3. რელიეფის ტიპები	13
თავი 2. ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები.....	17
2.1. ბუნების ძეგლები	18
2.2. ბუნებრივი ღირსშესანიშნავი მდინარეული ხეობები	34
2.3. მდინარეული კუნძულები	43
2.4. კანიონები	47
2.5. ჩანჩქერები	50
2.6. ტბები	53
2.7. კლდე-სვეტები	59
2.8. მღვიმეები.....	65
2.9. მთები და პანორამული ხედები	72
თავი 3. ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების ტურისტული მარშრუტები.....	82
დასკვნა.....	85
გამოყენებული ლიტერატურა.....	88
დანართი.....	89

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება იმერეთის რეგიონში არსებული ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების წარმოჩენას და მათ პოპულარიზაციას. უნდა აღინიშნოს, რომ მათი დიდი ნაწილი აქამდე მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი.

დღეს ისტორიულ, არქიტექტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებთან ერთად, მარშრუტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ბუნების საოცრებები, რაც ბევრად მიმზიდველს გახდის ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობას.

ნაშრომში მოცემულია დახასიათება იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული ყველა იმ ბუნებრივი ღირსშესანიშნავი ობიექტისა, რომელიც აქამდე ნაკლებად იყო ცნობილი და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მხოლოდ სპეციალისტთა გარკვეული ჯგუფი იცნობდა.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე:

- მოხდა იმერეთის ტერიტორიაზე არსებული ნაცნობი და დღემდე უცნობი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების დაჯგუფება გარკვეული კომპონენტების მიხედვით;
- შეიქმნა იმერეთის საერთო რუკა, სადაც დატანილია ნაშრომში მოცემული ყველა ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა (მსხვილმასშტაბიანი, 1:195 000);
- თითოეული მუნიციპალიტეტისათვის, ცალ-ცალკე, შეიქმნა მსხვილმასშტაბიანი ტურისტული რუკები მარშრუტებით;
- გამოიკვეთა ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების დაცვის პრობლემები;
- შემუშავდა რეკომენდაციები.

Annotation

The Following Master's Thesis refers to the promotion of the natural sightseeing existed in the Imereti region and its popularization. It should be marked, that its great part only been known to the narrow circle of scientists.

Today, with the historical, architectural and archaeological monuments in the routes should be considered natural wonders, which are much attractive for the traveling in our country.

The work gives the characterization all of those remarkable natural objects existed on the territories of the Imereti municipality, which was hitherto little known and, as I mentioned above, only a certain group of specialists knew that.

Hence to the aim of the research:

- there was made grouping of the known and the unknown natural sightseeings according to the certain components on the territory of Imereti;
- there was created general map of Imereti, in which all the natural sightseeings is given to the work (large scale 1: 195 000);
- there was created large scale maps with tourist routes separately for each municipality;
- there was outlined protection problems of the natural sightseeing;
- there was work out recommendations.

MA Thesis. Abramishvili Mari: " The role of natural sights of Imereti in development of tourism"

შესავალი

იმერეთს მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და მკაფიოდ გამოხატული ბუნებრივი საზღვრები გააჩნია; საქართველოს რეგიონებს შორის იგი ერთადერთია, რომლის ტერიტორიაზეც არ გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი;

თანამედროვე რელიეფი შექმნილია ენდოგენური და ეგზოგენური პროცესების ხანგრძლივი, პერმანენტული ურთიერთმოქმედების საფუძველზე.

იმერეთს მრავალფეროვანი და წარმტაცი ბუნებრივი პირობები გააჩნია, აქ წარმოდგენილია თითქმის ყველა ლანდშაფტური სარტყელი, ნოტიო სუბტროპიკებიდან დაწყებული ალპური მდელოებით დამთავრებული.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმერეთის რეგიონში არსებული ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებისა და ბუნების ძეგლების შესწავლა და მათი პოპულარიზაცია.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მნიშვნელოვან ობიექტს ბუნების ძეგლის სტატუსიც კი არ გააჩნია, არადა ტურისტულ მარშრუტებში მათი შეტანა მნიშვნელოვნად გაზრდიდა ჩვენი ქვეყნის ტურისტული მეურნეობის პოტენციალს და მიმზიდველს გახდიდა ადგილობრივი თუ უცხოელი ვიზიტორებისათვის.

საქართველო, როგორც უმდიდრესი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყანა, უხსოვარი დროიდან მრავალ მოგზაურს, ვაჭარსა თუ დამპყრობელს იზიდავდა. ჩვენი ქვეყნის ტურისტულ-საკურორტო მეურნეობის აღდგენა დღეს უკვე სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური იმიჯის განმტკიცებისათვის. ისტორიულ, არქიტექტურულ, არქეოლოგიურ ძეგლებთან ერთად, მარშრუტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ბუნების საოცრებები, რაც ბევრად მიმზიდველს გახდის ქვეყანაში მოგზაურობას როგორც უცხოელთათვის, ასევე ჩვენი მოსახლეობისათვის.

საქართველოს გეომორფოლოგიური ობიექტები, მიუხედავად ბუნების მკვლევართა მრავალწლიანი მოღვაწეობისა, ჯერ კიდევ მრავალ შეუსწავლელ და უკვლევ ობიექტს მალავს; მათი მოძიება, სათანადოდ გამოკვლევა, კეთილმოწყობა და ტურისტულ

მარშრუტებში ჩართვა მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის ტურისტული მეურნეობის პოტენციალს და მიმზიდველს გახდის ადგილობრივი თუ უცხოელი ვიზიტორებისათვის.

ნაშრომის ინოვაციურია, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე იმერეთის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების ასე დეტალური კვლევა არ ჩატარებულა.

ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველ მეცნიერთა - ლ. მარუაშვილის (1964), რ. გობეჯიშვილის (2011), გ. მარგველანის (1970), ზ. ტატაშიძე (1954 - 1959-2009), ო. ჩხეიძე (2003-2004), კ. ხარაძე (2014), შ. გეგუჩაძე (1973), გ. დვალაშვილი (2013), საქართველოს სსრ წითელი წიგნი (1982), ასევე ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. I-XI (1975-1987), რომლებშიც ნათლადაა გაშუქებული იმერეთის რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული საკითხები. დაცვის საგანს წარმოადგენს იმერეთის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების შესწავლა, რომელსაც საფუძვლად უდევს იმერეთის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების (1:195000) და იმერეთის მუნიციპალიტეტების მსხვილმასშტაბიანი ტურისტული რუკები.

გარდა სამეცნიერო ლიტერატურისა, კვლევაში გამოყენებულია სტატისტიკური მონაცემები, კარტოგრაფიის თანამედროვე საშუალებები. ნაშრომზე მუშაობისას კამერალურად დამუშავდა ხელმძღვანელის მიერ საველე ექსპედიციებში ყოფნის დროს მოპოვებული მასალები.

ინტერნეტ წყაროებიდან, ბუნების ძეგლების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოყენებულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინტერნეტ-გვერდი <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>.

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეგიონული მართვის ორგანოებში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების სამთავრობო და ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაციების მიერ იმერეთის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებთან და ტურიზმთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებისას, სადაც პრაქტიკული გამოყენება ექნება აღნიშნული რეგიონის ტურისტულ რუკებს.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, 12 ქვეთავის, დასკვნის და 15 დასახელების ლიტერატურული წყაროსაგან. ნაშრომის საერთო მოცულობა 108 გვერდია, ძირითადი ტექსტი - 88 გვერდი, დანართი -20 გვერდი.

მუშაობის პროცესში მუდმივი ყურადღების, კონსულტაციებისა და რჩევა - დარიგებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასისტენტ პროფესორ - გიორგი დვალაშვილს.

თავი 1. იმერეთის რეგიონის კომპლექსურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

1.1. მდებარეობა და საზღვრები

იმერეთი არის დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, ამჟამად იმერეთის მხარის ნაწილი. ვრცელი მნიშვნელობით იგი დასავლეთ საქართველოს ისტორიული სახელწოდებაა, ისევე, როგორც ძველი კოლხეთი, ეგრისი, აფხაზეთი.

იმერეთი შემოსაზღვრულია აღმოსავლეთით ლიხის ქედით, დასავლეთით ცხენისწყლით, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედით და სამხრეთით ფერსათის, ანუ მესხეთის მთებით. სახელწოდება დაკავშირებულია ამ მხარის მდებარეობასთან, იმერეთი ანუ ლიხსიქითა მხარე.

იმერეთი იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო იმერეთად. იმერეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები ადასტურებს, რომ ამ მხარეში ადამიანს ცხოვრება, ჯერ კიდევ, ქვედა პალეოლითის ხანაში დაუწყია. მათ შორისაა საკაჟიის და ჭახათის (მდ. წყალწითელას ნაპირზე), დევისხვრელის (მდ. ჩხერიმელას ნაპირზე) გამოქვაბულები, სათაფლიის მიდამოები და სხვა. საქალაქო ცხოვრების უძველესი პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები ნაპოვნია ქუთაისში, ვანში, ვარციხეში, შორაპანში და სხვა. მხარის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამ ქალაქებს ოდითგანვე დიდი სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

საკვლევ რეგიონს ჩრდილოეთიდან რაჭის ქედი ესაზღვრება. იგი წარმოადგენს მდინარე რიონისა და მდინარე ყვირილის წყალგამყოფს. მის შემადგენლობაში შემოდის რაჭის ქედის ის მონაკვეთი, რომელიც მოქცეულია ნაქერალას ქედსა და ლებუერის მთას შორის. რაჭის ქედის საკვლევ მონაკვეთის უმაღლესი მწვერვალების სიმაღლე 1900 - 2862 მ-ია (საწალიკე - 1996 მ, ველტყევი - 1927 მ, ხიხათა - 2239 მ, დაღვერილა - 2721 მ, ლებუერის მთა - 2862 მ), ხოლო უღელტეხილების სიმაღლე კი - 1500-2300 მ-მდეა. საყურადღებოა ქედის ასიმეტრიული განვითარება, კერძოდ, ჩრდილოეთისაკენ (შაორის კარსტული ქვაბული) იგი თანდათანობით ეშვება და წარმოშობს დამრეც კალთას, ხოლო ყვირილის

ხეობისაკენ ციცაბოდ წყდება და ძირითადად ტექტონიკური რღვევის ხაზის მიმართულებას ემთხვევა [გობეჯიშვილი რ, 2011].

რეგიონის აღმოსავლეთი საზღვარი ლიხის ქედის აღმოსავლეთ დაბოლოებას ემთხვევა და პირობითად მთისწინა ზოლს მიუყვება. ამ მონაკვეთზე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მწვერვალები შემდეგი თანმიმდევრობით არიან აღმართულნი: მწ. მწ. ალხაშენდა (2311 მ.), რიბისა (2467 მ.) ბილიურთა (2170 მ.), რუსთავი (1936 მ.) ლოხანი (1925 მ.) შვილდისი (1443 მ.) კაპრების-ბოსელი (1182 მ.), ედის-ჯვარი (1319 მ.) ლიხის ქედზე ორი ძირითადი უღელტეხილია: ჯვარი (987 მ.) და რიკოთი (999 მ.).

ოროგრაფიულად საკვლევი რაიონი სამი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ნაწილისაგან შედგება. ჩრდილო ნაწილის ოროგრაფიულ სურათს ქმნის საშუალო სიმაღლის რაჭის ქედის ციცაბო სამხრეთი კალთა. სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს მესხეთის ქედის ჩრდილო ფერდობსა და ლიხის ქედის დასავლეთ დაბოლოებას.

საკვლევი ტერიტორია ადმინისტრაციულად მოიცავს იმერეთის რეგიონის 12 ერთეულს: ბაღდათის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ხარაგაულის, ხონის რაიონებს, ტყიბულის, ჭიათურის, წყალტუბოს და ქუთაისის საქალაქო ზონებს, რომელთა საერთო ფართობი 6,5 ათასი კვ. კმ-ია [მარუაშვილი ლ, 1964].

2000 წლის ადმინისტრაციული დაყოფის სქემის მიხედვით, იმერეთის რეგიონად წოდებული ტერიტორია მდებარეობს კოლხეთის დაბლობსა და შიდა ქართლის ვაკეს შორის და დასავლეთ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილის შემადგენლობაში თავსდება. იგი ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მთიანი სისტემებითაა შემოფარგლული. რეგიონის ჩრდილოეთურ და ნაწილობრივ, ჩრდილო-აღმოსავლეთურ საზღვარს ქმნის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ფერდობის განშტოება - რაჭის ქედი, აღმოსავლეთურ საზღვარს - ლიხის ქედი, რომელიც ზემო იმერეთის პლატოს ნაწილია და თავის მხრივ, დიდი და მცირე კავკასიონის დამაკავშირებელ ოროგრაფიულ სისტემას წარმოადგენს. იმერეთის სამხრეთული საზღვარი აჭარა-იმერეთის ქედის თხემზე გადის. ამ ქედის ჩრდილო ფერდობის აღმოსავლეთური ნაწილი მთლიანად იმერეთის ფარგლებშია. გურიისა და იმერეთის საზღვარი ქედის ჩრდილო ფერდობის ძირში, მდ.

რიონის მარცხენა შენაკადის, ხევისწყლის ქვაბულის დას. საზღვარზე გადის, რის შემდეგ მდ. მდ. სუფსისა და რიონის მარცხენა შენაკადების წყალგამყოფი ქედის თხემზე მიემართება ლაბოროტის მთამდე (2415 მ). ეს ქედი თაფლოვანის სახელწოდებითაა ცნობილი. ლაბოროტის მთის სამხრეთით მ. მეფისწყარომდე (2856 მ), აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო ფერდობის ლაბოროტის კონტრფორსი მერიდიანული ორიენტაციისაა. 8 კმ მანძილზე და აჭარა-იმერეთის ქედის მთავარ წყალგამყოფს მ. მეფისწყაროსთან უერთდება.

იმერეთის დასავლეთი საზღვარი ს. საჯავახოდან ს. ხიდამდე კოლხეთის ვაკის ტერიტორიაზე მდ. ცხენისწყლის კალაპოტს გაუყვება და ს. ხიდიდან კი ასხის მასივის აღმოსავლეთ ნაწილით მაიდანის პლატოს პერიფერიებს გასდევს და შემდეგ გადაკვეთს რა ცხენისწყალის ხეობას, აქედან ხვამლის მასივზე გადაინაცვლებს.

ზემოაღნიშნულ საზღვრებში მოქცეული საკვლევ ტერიტორია საქართველოს გეომორფოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით საქართველოს მთათაშორის ბარის ზონაშია მოქცეული და ქართლ-იმერეთის მაღლობად (პლატოდ) იწოდება, ხოლო ლ. მარუაშვილის მიხედვით კოლხეთის ოლქს მიეკუთვნება და იგი იყოფა ოკრიბის, ზემო იმერეთის პლატოსა და სამხრეთ იმერეთის მთისწინეთის რაიონებად.

საქართველოს გეოტექტონიკური დარაიონების სქემით აღნიშნული ტერიტორია თავსდება საქართველოს ბელტის აზეგების აღმოსავლეთ ძირულის ოკრიბა-ხრეთის ზონებსა (ძირულის, ოკრიბის, ხრეთის ქვეზონები) და აჭარა-თრიალეთის ზონის ჩრდილო ქვეზონის ფარგლებში.

ოკრიბის რაიონი დასავლეთიდან მდ. ცხენისწყლითაა შემოფარგლული, ჩრდილოეთიდან - ხვამლის მასივისა და ნაქერალას ქედის სამხრეთული კალთებით; აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ისაზღვრება მდ. ჩხარულათი, ხოლო სამხრეთიდან – ს. ღვანკიეთიდან ს. მათხოჯამდე - კოლხეთის ვაკის ჩრდილო კიდით.

ზემო იმერეთის პლატო, რომელიც სტრუქტურულად ძირულის კრისტალური მასივის ყველაზე ამაღლებულ ნაწილს იკავებს, არა მარტო ბელტის დასავლური და აღმოსავლური დამირვის ზონებს აკავშირებს, არამედ კავკასიონისა და აჭარა-იმერეთის ოროგრაფიულ ერთეულთა ხიდადაც გვევლინება [მარუაშვილი ლ, 1964].

1.2. იმერეთის მხარის რელიეფის შესწავლის ისტორია

საკვლევო რეგიონის ირგვლივ, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონების მიმართ, პირველ გეოგრაფიული შინაარსის ცნობებს ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში ვპოულობთ. იგი გვაძლევს ცნობებს ზემო იმერეთის მდინარეთა ხეობების მორფოგრაფიულ თავისებურებათა შესახებ, აქ არსებულ გამოქვაბულებზე, აგრეთვე მდინარე ყვირილის სახელწოდების წარმომავლობაზე. შრომაში გვხვდება ზოგიერთი არასწორი დებულება, მდ. ყვირილის აუზში გამოქვაბულთა წარმოშობის, მდ. ყვირილას სათავის შესახებ და ა.შ.

ზემო იმერეთის გეომორფოლოგიური შესწავლის ისტორია შეიძლება ქრონოლოგიურად ოთხ პერიოდად დაიყოს:

I. XIX საუკუნის მეორე ნახევარი, როცა აქ მუშაობდნენ გ.აბიხი (1871), სიმონოვიჩი (1902), ა. სმირნოვი (1909) და სხვ. აღნიშნულ ავტორთა შრომები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ დაუზუსტებელ ცნობებს შეიცავენ, საინტერესოა იმ მხრივ, რომ მათ პირველი წარმოდგენა შექმნეს ამ ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებასა და რელიეფზე.

II. XX ს-ის პირველი მეოთხედი, როცა ძლიერდება ინტერესი ჭიათურის მანგანუმის რაიონის შესწავლისადმი. აღნიშნულ პერიოდს მიეკუთვნება ლ. კონიუშევსკის (1913), ა. რეინჰარდი (1914), და სხვა ავტორთა შრომები.

III. XX საუკუნის შუა პერიოდი 20-იანი წლებიდან 60-იან წლებამდე. ამ დროს გამოქვეყნებულ შრომებიდან საყურადღებოა ი. შჩუ-კინის (1926), ალ. ჯავახიშვილის (1926), ალ. ჯანელიძის (1941), ივ. კახაძის (1941), ი. კუზნეცოვის (1932), ზ.ტატაშიძის (1957) და სხვათა შრომები.

IV. პერიოდი იწყება XX საუკუნის 70-იან წლებიდან, როცა ზემო იმერეთის ტერიტორიის გეოლოგიური, გემორფოლოგიური და თანამედროვე ეგზოდინამიკური პროცესების თავისებურებების შესახებ რიგი შრომები გამოაქვეყნეს: ლ. მარუაშვილმა (1958), ნ. სხირტლაძემ (1958), ზ. ტატაშიძემ (1959), შ. ყიფიანმა, (1959), ს. ნემანიშვილმა (1959), შ. ადამიამ (1961), ა. ცაგარელმა (1964), გ. მარგველანმა (1970), შ. გეგუჩაძემ (1973), გ.

გიგინეიშვილმა (1982), მ. გონგაძემ (1986), გ. ლობჯანიძემ (1988), ზ. ლეჟავამ (1988), ე. დავითაიამ (1990), ე. წერეთელმა (2000), ო. ჩხეიძემ (2003) და სხვებმა.

იმერეთის რელიეფის შესახებ მეცნიერული აზრის განვითარება ეკუთვნის აკად. ალ. ჯანელიძეს. მან 1926 წელს რაჭის ტერიტორიის გეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მეწყრებისა და მსგავსი მოვლენების მეტად ორიგინალური კლასიფიკაციის სქემა, რომელმაც მოგვიანებით გაღრმავება ჰპოვა. ალ. ჯანელიძე აღნიშნული პერიოდის ნაშრომებში ცდილობს მეწყრული მოვლენების წარმოქმნის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების და მათი გამოვლინების კანონზომიერებების დადგენას. თავის შრომებში ავითარებს შეხედულებას იმის შესახებ, რომ მეწყერი - ქანების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მასის გადაადგილებაა სიმძიმის ძალის გავლენით, რასაც ხელს უწყობს მიწისქვეშა წყალი და რელიეფი. მოგვიანებით, მსგავსი შეხედულებები სხვა ავტორებმაც გამოთქვეს.

გ. არეშიძის მონოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც დეტალურად არის გაშუქებული ძირულის კრისტალური მასივის და მის დასავლეთით მიმდებარე ტექტონიკური რღვევების გარდამავალ ზოლებში ნეოგენ - მოლასურ ნალექებში განვითარებული მეწყრების თავისებურებანი, მოცემულია მათი რეგიონალური კლასიფიკაცია, სადაც პირველად არის გამოყოფილი და შესწავლილი ტექტოგენურ-გრავიტაციული ჯგუფი, მოცემულია მეწყერთა პროგნოზირებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის დასაბუთებული ღონისძიებები.

კ. ჯანჯღავას ნაშრომი ეძღვნება რიკოთის უღელტეხილსა და მის მიმდებარე ტერიტორიას, აღწერილია რელიეფის თავისებურებები, მეწყერთწარმომშობი საიჟინრო-გეოლოგიური პირობები, მოცემულია მეწყრების განვითარების კანონზომიერებანი ლითოლოგიურ-სტრატეგრაფიულ კომპლექსთან კავშირში;

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, იმერეთის რეგიონის შესახებ მასალები, გვხვდება გეოგრაფიულ, გეოლოგიურ და სხვა სპეციალურ ნაშრომებში, რომელთა გაცნობისა და ანალიზის საფუძველზე მათი შესწავლის 85 წლიანი ისტორია ორ ძირითად ეტაპად

შეიძლება გაიყოს: პირველი იწყება გასული საუკუნის პირველი ნახევრიდან, ხოლო მეორე მოიცავს ომის შემდგომ პერიოდს 1945 წლიდან დღემდე.

პირველი ეტაპის კვლევის მასალები ძირითადად ეპიზოდური, არასრული ხასიათისაა, ამიტომ ძნელია ვილაპარაკოთ მათ დიდ მეცნიერულ ღირებულებაზე.

საკვლევი რეგიონის გეომორფოლოგიური, ფიზ-გეოგრაფიული, გეოტექტონიკური, კლიმატური, ჰიდროლოგიური და საერთოდ გეოგრაფიული თავისებურებების შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევიან: ალ. ჯავახიშვილი, დ. წერეთელი, ლ. მარუაშვილი, ნ. ასტახოვი, შ. ყიფიანი, შ. ცხოვრებაშვილი, ს. ნემანიშვილი, ზ. ტატაშიძე, გ. ჩანგაშელი, დ. ტაბიძე, ჯ. მესხია, ი. ბონდირევი, მ. სანებლიძე, დ. უკლება, გ. დევდარიანი, ზ. სეფერთელაძე, გ. მარგველანი, ე. დავითაია, ქ. და ო. ჯაყელები, ლ. ვლადიმროვი, ნ. ბერუჩაშვილი, ვ. ჯაოშვილი, ო. ჩხეიძე, მ. კორძაბია, შ. ჯავახიშვილი [დვალაშვილი გ, 2013].

1.3. რელიეფის ტიპები

მდინარე რიონის აუზის თანადროული რელიეფი შექმნილია ენდოგენური და ეგზოგენური პროცესების ხანგრძლივი პერმანენტული ურთიერთმოქმედების საფუძველზე, სადაც ჩვენ მიერ სავლელე კვლევების შედეგად შესწავლილი, გამოყოფილი და დახასიათებულ იქნა ენდოგენური პროცესების შედეგად მიღებული ხუთი გეომორფოლოგიური კომპლექსი: ტექტოგენური, პეტროგენური, ვულკანური, მოსწორებული ზედაპირები, ეგზოტექტონიკური პროცესებით წარმოქმნილი რელიეფის ფორმები.

ტექტოგენური რელიეფი. დედამიწის ქერქის ტექტონიკური მოძრაობებით, ქანების წოლის ფორმებითა და მასთან დაკავშირებულ ნაოჭთა ხასიათის მიხედვით წარმოქმნილი ფორმები ფართო სპექტრითაა წარმოდგენილი მდინარე რიონის აუზში. რელიეფზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამგებულ ქანებში არსებული ნაოჭები, რღვევები, ბლოკები, ნასხლეტები, შეცოცებები, ნეოტექტონიკური მოძრაობები. უკანასკნელის მოქმედებამ ნეოგენ-ანთროპოგენურ დროში განსაზღვრა იმერეთის ზედაპირის ინტენსიური დანაწევრება (ხეობათა მეანდრირება, ტერასათა ფორმირება, წყალგამყოფების ნიველირება,

ამონათხარი რელიეფის წარმოქმნა და სხვ.). ტექტონიკურ პროცესებს შორის მორფოგენეზისათვის უდიდესი მნიშვნელობა ტექტონიკურ მოძრაობათა ვერტიკალურ მდგენელს აქვს, რადგანაც მასზეა დამოკიდებული ეროზიული დანაწევრების სიღრმე და ზედაპირის დახრილობათა გაბატონებული კუთხეების მაჩვენებლები. იმერეთის დაბლობის შემომფარგვლელი მთიანი რელიეფი ნეოტექტონიკურ (სარმატის შემდგომ) ეტაპზე იმყოფება დადებითი (აღმავალი) ტექტონიკური მოძრაობების პირობებში, რომელმაც განსაზღვრა რელიეფის ამფითეატრისებური ამაღლება დაბლობიდან ჩრდილო, სამხრეთული და აღმოსავლური მიმართულებებით. ეს პროცესი დღესაც გრძელდება, რაც დასტურდება ეროზიის ინტენსივობით და შედარებითი სიმაღლეების ზრდით პერიფერიებისაკენ. იმერეთის საშუალომთიანი ზოლი, საკმაოდ ინტენსიური აღმავალი მოძრაობის პირობებში იმყოფება კაინოზოური ერის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, რამაც განაპირობა მათი თანადროული მთიანი რელიეფის ფორმირების პროცესი [ჩხეიძე.ო, 2003-2004].

პეტროგენული რელიეფი. რელიეფის ფორმათა ნაირგვარობაში მნიშვნელოვანი როლი პეტროგრაფიულმა ფაქტორმა შეასრულა. მაგმურ, დანალექ და მეტამორფულ ქანებს დესტრუქციული დამშლელ-გარდამქმნელი პროცესებისადმი ერთნაირი გამძლეობის უნარი არ გააჩნიათ. ფიზიკურ-გეოგრაფიულად განსხვავებულ პირობებში ერთი და იგივე ლითოლოგიურ წყებას რელიეფის სხვადასხვა ფორმები შეესატყვისება; კერძოდ, იმერეთის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთით ასხის, ხვამლისა და რაჭის ქედის, ასევე ოკრიბის გადარეცხილი ანტიკლინის თაღის პერიფერიებში გავრცელებულ კირქვულ ზოლს შეესატყვისება მკვეთრი ქარაფოვანი რელიეფი, ხოლო ოკრიბის ქვაბულის გუმბათურ თაღს, ანუ შიდა ოკრიბის იურული ფხვიერი წყებებით (ფურცელა ფიქლები, ფერადი წყების თიხები, ქვიშაქვები და სხვ.) აგებულ სივრცეს - დაბალი, ნაზი და რბილი რელიეფი, ეროზიული და მეწყრული წარმონაქმნების სიჭარბით. ხვამლი-რაჭის ქედის კირქვული ქარაფების სამხრეთით, ოკრიბის ჩრდილო-დასავლურ ნაწილში, რაჭის ქედის აღმოსავლეთ თხემურ ზოლში, ლიხის ქედის ჩრდილო ნაწილში და სხვ. გამიშვლებულია პორფირიტული წყება. სხვა ვულკანური ქანებიდან იმერეთის მთელ რიგ უბნებში გამიშვლებულია გრანიტოიდები (ძირულის მასივი), ტემენიტები, ბაზალტები, დიორიტები

და სხვ. (ოკრიბაში, ქუთაისის მიდამოებში და სხვ.), რომლებსაც ახასიათებთ სიმტკიცე, დესტრუქციული პროცესებისადმი გამძლეობა და სათანადო ცვლილებები შეაქვთ რელიეფში თავიანთი სიმკვეთრით, სიმაღლითა და მორფოლოგიური იერ-სახით (პლასტიკით) [ჩხეიძე.ო, 2003-2004].

ვულკანური რელიეფი. ვულკანური რელიეფის ფორმები იმერეთის თანამედროვე რელიეფში წარმოდგენილია ყველა გეოტექტონიკურ ზონაში ლავური ნაკადებისა და განფენების, მარღვების, უკრატერო კონუსების, გუმბათების, შტოკების, შრეძარღვებისა და სხვათა სახით. აქედან იმერეთის ის ნაწილი, რომელიც ტექტონიკურად საქართველოს ბელტის ფარგლებშია მოქცეული, გვხვდება შრეძარღვული, შტოკისებური, განფენური და კონუსური ფორმის ფუძე-ბაზალტური ვულკანიტები. ამ ფორმების შემონახულობაში დროის ფაქტორი დიდ როლს თამაშობს და ამიტომაც, რომ მეოთხეულამდე წარმოქმნილი ვულკანური რელიეფის ფორმები შინაგანი (ტექტონიკური) და გარეგანი (ეგზოდინამიური) ძალების მოქმედებით მნიშვნელოვნადაა შეცვლილი, მაშინ როცა მეოთხეულში გაჩენილი ფორმები, შედარებით მკაფიოდ არიან გამოსახული. ნეოგენ-მეოთხეულში ვულკანიზმის გააქტიურებას ადგილი ჰქონდა მიოცენის ბოლოს და პლიოცენის დასაწყისში (მიოპლიოცენური ვულკანიზმი), რომელიც შემდეგ განახლდა პლიოცენის ბოლოს და გაგრძელდა მეოთხეულში. ვულკანური რელიეფის ფორმები ჩრდილო იმერეთის მთისწინეთის-ქუთაის-ოკრიბის მიდამოებში, წარმოდგენილია იზოლირებულად ცალკეული ინტრუზიული სხეულებისა და კონუსური მაღლობების სახით. ზოგან ინტრუზივებს (მარღვი, განფენი, დაიკი და სხვ.) დანალექი საფარი გადაცლილი აქვს და მათი გამოსავლები ზედაპირულ გაშიშვლებებს წარმოადგენენ. მათი გაშიშვლება-გამომზეურება ადამიანმაც დააჩქარა [ჩხეიძე.ო, 2003-2004].

მოსწორებული ზედაპირები. რელიეფის ისტორიის შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწორებული ზედაპირების გამოყოფასა და დათარიღებას. მოსწორებული ზედაპირის ცნებაში იგულისხმება სიბერის სტადიამდე მისული რელიეფი. ასეთი რელიეფის ფორმები მრავლად მოიპოვება გლობალური მასშტაბით და მათ შორის იმერეთის მხარეშიც. კონკრეტულად, ზემო იმერეთის პლატოზე არის ერთიანი მოსწორებული ზედაპირი ორი გენეტური კომპლექსით, რომელთაგან ერთი

განამარხებულია მეზოზოურ-კაინოზოური ასაკის წყებების ქვეშ, მეორე კი გაშიშვლებულია და დანაწევრებული. იგი ზემო იმერეთის პლატოს აკუთვნებს ნაკრები პენეპლენის ტიპს. ჯავშანს მოკლებულ პენეპლენებად აღნიშნავს პლატოს აღმოსავლურ და სამხრეთ-დასავლურ, ხოლო განამარხებულად დასავლურ და ჩრდილო-დასავლურ ნაწილებს. უკანასკნელს ჭიათურის სტრუქტურული პლატოს სახით გამოყოფს.

ჭიათურის პლატოზე კარგად გამოიყოფა: ქორეთის, პასიეთის, სავანის, არგვეთისა და გორისის მოსწორებული ზედაპირები, რომლებზეც იმავე სახელწოდების სოფლებია. კორბოულის პლატოზეა ნიგვზარას, მაჭარაშვილებისა და დურევის ზედაპირები, ძირულის პლატოზე კი ბუკვეთის, ხვანის, ჯვარის, ურუნას, ქვედა და ზედა ჭალოვანის მოსწორებული ზედაპირები. აღნიშნულიდან მეტი მორფოლოგიური სიმკვეთრით ხასიათდებიან პირველი და მეორე პლატოს მოსწორებული ზედაპირები (ზ.დ. 600-850 მ). ჰიფსომეტრიულად კი ძირულის პლატოს ზედაპირები. თანაც ეს უკანასკნელნი უფრო ძველ ზედაპირებად გვესახება. ზემო იმერეთის ტერიტორიაზე მოსწორებული ზედაპირები, გარდა ძირულის კრისტალური მასივისა, დამახასიათებელია მესხეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, სადაც შეიმჩნევა მათი იარუსიანობა. მესხეთ-თრიალეთის ნაოჭა სისტემის მოსწორებულ ზედაპირებს მრავალი მკვლევარი სწავლობდა, მაგრამ დღემდე მათი გენეზისის, ასაკისა და რაოდენობის შესახებ საბოლოოდ გადაწყვეტილი და მიღებული მოსაზრება მაინც არ არსებობს. დეტალური სავსე გამოკვლევებისა და მსხვილმამტაბიანი ტოპოგრაფიული რუკების გაშიფვრის საფუძველზე დადგინდა მოსწორებული ზედაპირების ფრაგმენტთა ჯგუფი და შეიქმნა სიმაღლითი საფეხურების სკალა. მესხეთის ქედის ჩრდილო ფერდობზე გამოიყო 6 საფეხური, რომელთა წარმოქმნა უკავშირდება პალეოგენის შემდგომ ოროგაზებს, კერძოდ, ქედის თაღისებურ აზეგებას და დენუდაციურ-ეროზიულ პროცესებს [ჩხეიძე, 2003-2004].

ბუნებრივი ხდები, კანიონები, განამარხებული ფლორა და ფაუნა, ტრავერტინები, ჩანჩქერები, ტბები, კანიონები და სხვა ბუნებრივი ღირსშესანიშნავი ობიექტები, რომლებიც ყოველთვის როდი იწოდება ბუნების ძეგლებად. ბუნების საოცრებებით საქართველოს ყველა რეგიონი ძალზე მდიდარია. ბევრი მათგანი თავისი გრანდიოზულობითა და სილამაზით დიდ ყურადღებას იმსახურებს [ხარაძე, კ. 2014].

ზემოთ მოცემულ რუკაზე წარმოდგენილია იმერეთის ყველა ის ბუნებრივი ღირსშესანიშნავი ობიექტი, რომელიც დეტალურადაა განხილული წინამდებარე ნაშრომში. მათმა საერთო რაოდენობამ შეადგინა 166 (თითოეული მუნიციპალიტეტის მაღალი და დაბალი წერტილების ჩათვლით). ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებიდან ნაწილი მსოფლიო მნიშვნელობის მქონეა, ნაწილი კი გარკვეული ღირებულების მატარებელია რეგიონის, რაიონის თუ მუნიციპალიტეტის დონეზე.

2.1. ბუნების ძეგლები

ბუნების ძეგლი არის ეროვნული მნიშვნელობის მქონე შედარებით მცირე ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემები, ცალკეული გეომორფოლოგიური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები ან ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტები. ბუნების ძეგლი შეიძლება იყოს მღვიმე, ხეობა, მდინარის დელტა, ტყის კორომი და სხვ.

პირველი სამი ბუნების ძეგლი საქართველოში დაარსდა 2003 წელს - საერთო ფართობით 314.5 ჰა. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე - ალაზნის ჭალის (204.4 ჰა), არწივის ხეობისა (100.4 ჰა) და ტახტი-თეფას (9.7 ჰა) ბუნების ძეგლები. დღეისათვის უკვე 41 ბუნების ძეგლს აქვს მინიჭებული სტატუსი, მათ შორის 3 ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მდებარეობს, 5 ყაზბეგის ეროვნული პარკში, 19 კი იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შემადგენლობაშია. 2 ბუნების ძეგლი ალგეთის ეროვნული პარკის, თითო-თითო კი თბილისის, ფშავ-ხევსურეთისა და ბორჯომ-ხარაგაულის


ეროვნული პარკების დაქვემდებარებაშია. დანარჩენი 9 ბუნების ძეგლი, რომლებიც დღესდღეობით არ იმყოფებიან დაცული ტერიტორიების სააგენტოს მმართველობის ქვეშ, წარმოდგენილი არიან სამეგრელოს რეგიონში, მარტვილის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში.

2014 წლის მდგომარეობით ბუნების ძეგლების საერთო ფართობი არის 2257,74 ჰა. იმერეთის რეგიონის ტერიტორიაზე გვხვდება ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე 19 ობიექტი, რომლებიც წარმოდგენილია წყალტუბოს, თერჯოლის, ტყიბულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისში. [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>]

იმერეთში ბუნების ძეგლების რიცხოვნობით უპირობო ლიდერობა ეკუთვნის **წყალტუბოს მუნიციპალიტეტს**, სადაც წარმოდგენილია ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე 10 მღვიმე. ესენია:

1. თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლი (ქ. წყალტუბო);
2. ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი (გუმბრის თემი, სოფ. ხომული);
3. ბლერის მღვიმის ბუნების ძეგლი (ცხუნკურის თემი, სოფ. ყუმისთავი);
4. პრომეთეს/ყუმისთავის მღვიმის ბუნების ძეგლი (ცხუნკურის თემი, სოფ. ყუმისთავი);
5. საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი (ცხუნკურის თემი, სოფ. ყუმისთავი);
6. სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი (ცხუნკურის თემი, სოფ. ყუმისთავი);
7. ლლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი (ცხუნკურის თემი, სოფ. ყუმისთავი);
8. გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი (ცხუნკურის თემი, სოფ. ყუმისთავი);
9. დიდელის მღვიმის ბუნების ძეგლი (ცხუნკურის თემი, სოფ. ყუმისთავი);
10. მელიურის მღვიმის ბუნების ძეგლი (ცხუნკურის თემი, სოფ. ყუმისთავი).

როგორც დიაგრამა გვიჩვენებს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ბუნების ძეგლები მეტად არათანაბრადაა გადანაწილებული, მათგან 8 მდებარეობს ცხუნკურის თემის სოფელ ყუმისთავში, თითო-თითო კი - ქ. წყალტუბოსა და სოფელ ხომულში.



ნახ.№2. წყალტუბოს ბუნების ძეგლების გადანაწილება ტერიტორიული მართვის ორგანოების მიხედვით

წარმოგიდგენთ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული თითოეული ბუნების ძეგლის დახასიათებას:

1. თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: თეთრი ქათქათა ფერის ნაღვენთებით გამორჩეული ქვედაცარცულ კირქვებში გამომუშავებული 25 მეტრის და 3,5 მ-ის სიმაღლის მღვიმეა, რომლის შესასვლელი 2 მ-ის დიამეტრის შვეული ხვრელით უკავშირდება ვრცელ, ჰორიზონტალურ ფსკერიან დარბაზს. მღვიმე საინტერესოა ძველი სიფონური არხების მრავალფეროვნებით. მღვიმე გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით. გასულ საუკუნეში აქ მკურნალობდნენ ბრონქული ასთმით და ჰიპერტონიით დაავადებულ პაციენტებს.

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ქ. წყალტუბოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,6 კმ, 140 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°19'76"; E 42°37'03", **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე დასახლებული პუნქტია ქ. წყალტუბო. თბილისიდან წყალტუბო დაშორებულია 257 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ; ქ. წყალტუბო - თეთრი მღვიმის ბუნების ძეგლი - 1.5 კმ, ხანგრძლივობა - 10 წთ; **დამისთევა:**

ლამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].

2. ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: ბუნების ძეგლი გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში. მღვიმე იწყება წამოხურული კარნიზით. შესასვლელის წინ (ზედაპირზე) ჩაქცევით წარმოშობილი ტბაა, რომლის სიღრმე 5 მეტრია, გარშემოწერილობა კი - 30 მ. ტბა მიწისქვეშა დინებით წყალტუბოს წყალსაცავს უერთდება. 4 მეტრიანი საფეხურით მღვიმე ორ ნაწილად იყოფა. წინა ნაწილი ვრცელია, ფსკერზე - კარსტული ძაბრებით. შეიმჩნევა დროებით ღვართა ნაკვალევი. გვირაბის ბოლოში პატარა ტბაა.

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხომულის მიდამოები, 160 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°18'88"; E 42°38'11", **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. წყალტუბო. თბილისიდან წყალტუბო დაშორებულია 257 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ. ქ. წყალტუბო - სოფ. ხომული - ხომულის მღვიმის ბუნების ძეგლი - 3, 7 კმ, ხანგრძლივობა - 15 წთ.

ლამისთევა: ლამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].

3. ბლერის მღვიმის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: ბუნების ძეგლი წარმოადგენს 1700 მ სიგრძისა და 14 000 მ² ფართობის მღვიმეს, რომელიც გამომუშავებულია მდ. ბლერისწყლის მიერ ქვედაცარცული ასაკის თხელ და საშუალო შრეებრივ კირქვებში. მდინარე თავდაპირველად დახურულ ხეობას წარმოქმნის და შემდგომ ჩაედინება ვიწრო პონორში. იგი იწყება წვრილმარცვლოვანი ქვიშითა და ზედაპირიდან ჩამორეცხილი ხის ტოტებით ამოვსებული 30 მ - სიგრძისა და 40-50 სმ სიმაღლის ხვრელით, რომელშიც ჩაედინება მდინარე ბლერისწყლის ნაკადები. აქ მას მარჯვნიდან მელოურისა და დიდელეს მღვიმეებიდან შემოსული მუდმივმოქმედი ნაკადები უერთდება. მდინარე განედურად გადაკვეთს მთელ მღვიმეს და დასავლეთ დაბოლოებაში ნაზვავსა და მცირე სიღრმის სიფონში იკარგება.

ბღერის მღვიმეს კარგად ეტყობა ნაკადების ეროზიული ზემოქმედების კვალი. **მდებარეობა:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მელოურის მიდამოები, 458 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°23'02"; E 42°37'81". **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. წყალტუბო. თბილისიდან წყალტუბო დაშორებულია 257 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ; ქ. წყალტუბო - სოფ. ყუმისთავი - 7,5 კმ; ხანგრძლივობა - 10 წთ; სოფ. ყუმისთავი - ბღერის მღვიმის ბუნების ძეგლი - 6 კმ, ხანგრძლივობა - 25 წთ. **დამისთევა:** დამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].

4. პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: ბარემული ასაკის სქელშრეებრივ კირქვებში გამომუშავებული მღვიმე, ულამაზესი ნაღვენთი ფორმებით გამოირჩევა, აქ ნახავთ განსაკუთრებული ფორმის სტალაქტიტებს, სტალაგმიტებს, სტალაგნატებს, ჰელიქტიტებს, გაქვავებულ ჩანჩქერებსა და ჩამოკიდებულ ქვის ფარდებს. მღვიმის ფართობია 46,6 ჰა. „პრომეთეს მღვიმე“ სხვა მღვიმეებისგან განსხვავებით განიერი კორიდორებით ხასიათდება. მაქსიმალური სიგანე 25-30 მ-ია, ჭერის სიმაღლე 20-25 მ, ზოგიერთი დარბაზის სიგრძე 80-100 მ-ს აღწევს. აქ 17 სხვადასხვა ზომის დარბაზია. მღვიმეში არსებული ბილიკის სიგრძე 1,420 მეტრია, ხოლო ჯამური სიგრძე 20,000 მეტრს შეადგენს. მღვიმეს აქვს ორი გასასვლელი: ერთი ბოლოვდება მდინარით, რომელზეც ნავით გასეირნებაა შესაძლებელი, მეორე გასასვლელი კი საფეხმავლოა და მღვიმის დარბაზიდან გარეთ გამოვყავართ. **მდებარეობა:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუმისთავი, 175 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°22'62"; E 42°36'03", **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. წყალტუბო. თბილისიდან წყალტუბო დაშორებულია 257 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ; ქ. წყალტუბო - სოფ. ყუმისთავი - პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი - 6,4 კმ, ხანგრძლივობა - 10 წთ. **დამისთევა:** დამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია

სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>]. (იხ. დანართი №1).

5. საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: ბუნების ძეგლი წარმოადგენს ბარემულ კირქვებში გამომუშავებულ სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით, ტრავერტინებითა და დიდი ზომის გურებით მდიდარ მდ. სემის მარცხენა სანაპიროზე მდებარე მღვიმეს. მღვიმის შესასვლელი იხსნება ასიმეტრიული ძაბრის ფსკერზე. შესასვლელის სიგანე 6 მეტრია, პირველ 80 მ სიგრძეზე, ფსკერი დახრილია 12-15⁰ - ით. ბოლომდე ინვითარებს 1 - 1,5 მ სიღრმის საფეხურებს. შესასვლელიდან 125 მეტრში 5 მეტრიანი ფლატეა, რომელსაც ებმის დიდი ზომის დარბაზი (30X25). შუასაუკუნეებში მღვიმეს იყენებდნენ თავშესაფრად.

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუმისთავის მიდამოები, მდ. სემის მარცხენა ნაპირი, 287 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°23'28"; E 42°36'37".

მისასვლელი გზა: ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. წყალტუბო. თბილისიდან წყალტუბო დაშორებულია 257 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ; ქ. წყალტუბო - სოფ. ყუმისთავი - 7,5 კმ; ხანგრძლივობა - 10 წთ; სოფ. ყუმისთავი - საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი - 1,2 კმ; ხანგრძლივობა - 10 წთ.

ღამისთევა: ღამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].

6. სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: მღვიმე გამომუშავებულია ბარემულ კირქვებში. შესასვლელი იხსნება მცენარეულობით შენიღბულ კარსტული ძაბრის ფსკერზე, რომელიც დამრეცად მიემართება სიღრმეში. დახრილი დერეფნის შემდეგ მღვიმე ფართოვდება 10-15 მ-დე და საკმაოდ ეფექტურ, ჰორიზონტალურ ფსკერიან დარბაზში გადადის, რომლის ჭერის სიმაღლე თითქმის 30 მ-ს უახლოვდება. ქიმიური ნალექებიდან აღსანიშნავია სტალაქტიტები, სტალაგმიტები. ყურადღებას იპყრობს ნალვენთების განსაკუთრებით დიდი ზომები. ჭერიდან სიმძიმის ძალით მოწყვეტილი სტალაქტიტის გარშემოწირულობა 5 მ-ს უდრის. ამ ზომის სტალაქტიტი იშვიათია ევროპაში. შესასვლელიდან 160 მ-ში

ფსკერიდან აღმართულია 8 მ სიმაღლის სტალაგმიტი, რომლის გარშემოწერილობა ძირთან 8.5 მ-ია, შუაში კი - 4,5 მ. მღვიმე წარმოადგენს ასევე პალეონტოლოგიურ ძეგლს, რადგან აქ აღმოჩენილი იყო მღვიმური დათვის ძვლები.

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუმისთავის მიდამოები, მდ. სემის მარცხენა ნაპირი, 379 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°23'37"; E 42°37'05"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. წყალტუბო. თბილისიდან წყალტუბო დაშორებულია 257 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ; ქ. წყალტუბო - სოფ. ყუმისთავი - 7,5 კმ; ხანგრძლივობა - 10 წთ; სოფ. ყუმისთავი - სოლკოტას მღვიმის ბუნების ძეგლი - 2,3 კმ, ხანგრძლივობა - 15 წთ. **დამისთევა:** დამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].

7. ღლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: ქვედაცარცულ კირქვებში გამომუშავებულ მღვიმეს ორი შესასვლელი გააჩნია; პირველი - საიდანაც ძირითადი მიწისქვეშა ნაკადი გამოდის, სიმაღლით 3.5-4 მ, ხოლო სიგანე 7 მ-ია; მარცხენა განშტოება მთავარი შესასვლელიდან 35-40 მ-ის დაშორებით ციცაბო საფეხურებით ზედაპირზე ამოდის. აქედან 60 მეტრში ფსკერი 50 მ სიგრძის სიფონურ ტბას უკავია, რომლის სიგანე 3-4 მ, ხოლო ჭერის სიმაღლე 2,5 მ აღწევს. პირველ სიფონს 200 მ სიგრძის წყლიანი და უნაპირო დერეფანი აგრძელებს; აქ წყლის სიღრმე 0,5-2 მღვიმის მშრალ დერეფნებში ღამურების მრავალრიცხოვანი კოლონია ბინადრობს. **მდებარეობა:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუმისთავი, პრომეთეს მღვიმის მიმდებარედ, 142 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°22'33"; 42°35'84"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. წყალტუბო. თბილისიდან წყალტუბო დაშორებულია 257 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ; ქ. წყალტუბო - სოფ. ყუმისთავი - ღლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი - 6 კმ, ხანგრძლივობა - 10 წთ. **დამისთევა:** დამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].

8. გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: ბუნების ძეგლი გამომუშავებულია ქვედაცარცულ კირქვებში, შახტი ფართო ნაპრალის სახით ფოთლოვანი ტყით დაფარულ ფერდობზე იხსნება. ჩრდილოეთისკენ გაწოლილი ნაპრალის სიგრძე 60 მ აღწევს, სიგანე 2-25 მ-ია. ნაპრალის ფსკერზე, ზედაპირიდან 25 მ სიღრმეზე 45 მ სიღრმის სიფონური ტბა მდებარეობს. ნაპრალური სიფონი მღვიმური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სიფონური ტბის დონე მდ. ყუმის გამოსასვლელების დონეს ემთხვევა.

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ყუმისთავი, ყუმის ვოკლუზური წყაროების ჩრდილო-დასავლეთით 1,7 კმ. მდ. ყუმის აუზი. 166 მეტრი ზღვის დონიდან.

კოორდინატები: 42°22'70"; E 42°35'44"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. წყალტუბო. თბილისიდან წყალტუბო დაშორებულია 257 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ; ქ. წყალტუბო - სოფ. ყუმისთავი - 7,5 კმ; ხანგრძლივობა - 10 წთ; სოფ. ყუმისთავი - გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი - 3 კმ; ხანგრძლივობა - 25 წთ.

ღამისთევა: ღამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].

9. დიდელის მღვიმის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: მდ. ოსუნელას მიერ ბარემულ კირქვებში გამომუშავებული მღვიმეა, სადაც მრავლადაა ჭერიდან და კედლებიდან მორღვეული ლოდნარი, თიხის ნაფენები და სხვა. მღვიმის შესასვლელთან არსებულ ნაპრალში ჟონავს კინკილეს ნაკადული, სადაც ჩნდება დროებითი ტბა.

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მელოურის მიდამოები. 418 მეტრი ზღვის დონიდან.

კოორდინატები: N 42°23'41"; E 42°37'74"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. წყალტუბო. თბილისიდან წყალტუბო დაშორებულია 257 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ; ქ. წყალტუბო - სოფ. ყუმისთავი - 7,5 კმ; ხანგრძლივობა - 10 წთ; სოფ. წყალტუბო - სოფ. ყუმისთავი - დიდელის მღვიმის ბუნების ძეგლი - 7 კმ, ხანგრძლივობა - 25 წთ.

ღამისთევა: ღამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ.

წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].

10. მელოურის მღვიმის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: მელოურის მღვიმე თავისი მასშტაბებით საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი მღვიმეა. ჩასასვლელი 8-10 მეტრის სიღრმის ჩაქცევითი ძაბრის ფსკერზე იხსნება და გიგანტური კირქვის ნაზვავ ლოდებში 15 მ სიღრმემდე ეშვება, დასაწყისში მღვიმეში გადაადგილება შედარებით რთულია, მაგრამ იმის გამო რომ მღვიმე გამოირჩევა ნაპრალთა ხშირი ქსელით მათი გადაკვეთის ადგილებში ვრცელი დარბაზებია წარმოდგენილი (100X40X30მ). მღვიმეს გააჩნია მრავალი უცნობი დერეფანი და განშტოება, რომელთა შესწავლა დამატებით კვლევის საგანს წარმოადგენს. მელოურის მღვიმე არც თუ რთული გასავლელია, მღვიმის მონახულება შეუძლია ზრდასრულ, ჯანმრთელ ნებისმიერ ადამიანს, აუცილებლად გამოცდილი გამყოლის თანხლებით. მღვიმის დასათვალიერებლად საჭიროა 8-9 საათი. საჭირო აღჭურვილობა: ჩაფხუტი განათებით, მაღალყელიანი, სქელძირიანი, წყალგაუმტარი ფეხსაცმელი. **მდებარეობა:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. მელოურის მიდამოები, 418 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°23'24"; E 42°37'67". **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. წყალტუბო. თბილისიდან წყალტუბო დამორებულია 257 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ; ქ. წყალტუბო - სოფ. ყუმისთავი - 7,5 კმ; ხანგრძლივობა - 10 წთ; სოფ. ყუმისთავი - მელოურის მღვიმის ბუნების ძეგლი - 8 კმ, ხანგრძლივობა - 30 წთ. **ღამისთევა:** ღამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე 3 მღვიმე:

1. საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი (გოდოგნის თემი, სოფ. გოდოგანი);

ღირსშესანიშნაობა: საკაჟია 6 მ-ის სიმაღლის და 30 მ-ის სიგრძის ჰორიზონტალური ფორმის, დახშული, ქვედაცარცულ კირქვებში გამომუშავებული არქეოლოგიური, პალეობოტანიკური და პალეოზოოლოგიური აღმოჩენებით მდიდარი მღვიმეა.

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოდოგნის მიდამოები, მდ. წყალწითელას ხეობის მარცხენა ფერდობი, მოწამეთას მონასტრიდან სამხრეთ-დასავლეთით 1,5 კმ, 204 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°16'79"; 42°45'44"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. ქუთაისი. თბილისიდან ქუთაისი დაშორებულია 230 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ; ქ. ქუთაისი - სოფ. გოდოგანი 11 კმ, ხანგრძლივობა - 30 წთ; სოფ. გოდოგანი - საკაჟიას მღვიმის ბუნების ძეგლი 1.5 კმ, ხანგრძლივობა - 30 წთ.(საფეხმავლო) [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>]

2. ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი (გოდოგნის თემი, სოფ. ნაგარევი)

ღირსშესანიშნაობა: კარსტული ძაბრის ფსკერიდან სპირალურად ჩადის ქვევით და შემდეგ 140 მ სიგრძის ვიწრო, ნაკადოვანი გვირაბის ფორმას იღებს. გამომუშავებულია ცარცულ კირქვებში. მღვიმე შედგება ვიწრო დერეფნებისა და პატარა დარბაზებისაგან. წინა ნაწილი ორსართულიანია. გვხვდება ტერასების ფრაგმენტები. ქიმიური და მექანიკური ნალექები სუსტად არის წარმოდგენილი. განშტოებების შეერთების ადგილზე პატარა ნაკადული ისახება. წვიმების დროს მთლიანად წყლით ივსება. მღვიმე ადვილი გასასვლელია. ზოგიერთი ადგილას საჭიროა ხოხვით ძვრომა. **მდებარეობა:** თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. გოდოგნის მიდამოები, მდ. ჭეშურას მარცხენა ფერდობი, 199 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°15'12"; 42°49'92"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. ქუთაისი. თბილისიდან ქუთაისი დაშორებულია 230 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ; ქ. თბილი - ქ. ქუთაისის ცენტრალური ავტომაგისტრალი - ნაგარევის მღვიმის ბუნების ძეგლი 8 კმ. ხანგრძლივობა - 30 წთ. - 3 სთ [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].

3. ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი (ნახშირღელეს თემი, სოფ ნავენახევი).

ღირსშესანიშნაობა: განსხვავებული და ლამაზი ფორმის სტალაგმიტებით, სტალაგნატებითა და სტალაქტიტებით გამორჩეული 250 მეტრის სიგრძის ორსართულიანი და 4 დარბაზიანი მღვიმეა. ი მღვიმე შესასვლელიდან 30-ე მეტრზე ორად იყოფა. მეორე სართული პატარა საფეხურებით დაკავშირებულია დარბაზთან. მღვიმეს გასასვლელი არა

აქვს, ამოკეტილია სტალაგნატით, რომლის სისქე 7 მეტრია. **მდებარეობა:** თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნავენახევის მიდამოები, 320 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°14'50"; 42°51'78"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. ქუთაისი. თბილისიდან ქუთაისი დაშორებულია 230 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ; ქ. თბილისი - ქ. ქუთაისის ცენტრალური ავტომაგისტრალი - ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლი 7 კმ. ხანგრძლივობა - 15 წთ. **დამისთევა:** დამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].

ტყიბულის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე 3 ობიექტი:

1. წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი (კურსების თემი, სოფ. მოწამეთა)

ღირსშესანიშნაობები: ბუნების ძეგლი წარმოადგენს ულამაზეს კოლხური ტყით დაფარულ, განსაკუთრებული სილამაზით გამორჩეულ მდ. წყალწითელას კანიონისებურ ხეობას. ლეგენდის თანახმად, წყალწითელას სახელი ხრესილის ომის დროს დაერქვა, რადგან სისხლისაგან წყალი წითლად შეიღება. სინამდვილეში, როცა მდინარე დიდდება, ის წითელი მიწის ქანებს რეცხავს, რომლებიც ოკრიბაში ამ მდინარის გასწვრივ თითქმის ყველგანაა და წყალი წითელ ფერს იღებს. გელათის სამონასტრო კომპლექსი და წმინდა მოწამეების დავითისა და კონსტანტინეს სახელობის მონასტერი. **მდებარეობა:** ქ. ქუთაისი, ტყიბულის და თერჯოლის მუნიციპალიტეტები, მდ. წყალწითელას ხეობა - გელათის ხიდიდან გოდოგანის ხიდამდე, 130-200 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°16'37"; E 42°44'58"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. ქუთაისი. თბილისიდან ქუთაისი დაშორებულია 230 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ; ქ. ქუთაისი - მოწამეთას მონასტერი - წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი - 9,6 კმ, ხანგრძლივობა - 30 წთ. **დამისთევა:** დამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. ქუთაისში დარჩენა,

სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>]. (იხ. დანართი №2)

2. მუხურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი (მუხურის თემი, სოფ. მუხურა)

ღირსშესანიშნაობა: 60-70 მ სიმაღლის სამსაფეხურიანი ჩანჩქერი გადმოედინება აღმოსავლეთ ექსპოზიციის ფერდობზე მდებარე მღვიმიდან. მღვიმეში ერთი პატარა და ერთი დიდი ტბაა. ჩანჩქერის ნაპირები დაფარულია შერეული ფართოფოთლოვანი ტყით. აქ მრავალი ენდემური ცხოველი ბინადრობს, კერძოდ: კავკასიური თხუნელა, რადეს, ვოლნუხინის და კავკასიური წყლის ბიგები. **მდებარეობა:** ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხურას მიდამოები, ტყიბული-მუხურას საავტომობილო გზის სიახლოვეს, 886 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°19'58"; E 42°02'94"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. ტყიბული. თბილისიდან ტყიბული დაშორებულია 236 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ; ქ. ტყიბული - მუხურას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი - 8,5 კმ; ხანგრძლივობა - 15 წთ; **ღამისთევა:** ღამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].

3. ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს 11 მღვიმეს:

- 1) შაბათაღელის მიწისქვეშა კალაპოტი (ცუცხვათის I მღვიმე),
- 2) ცუცხვათის II მღვიმე,
- 3) ბიზონის (ცუცხვათის III) მღვიმე,
- 4) ბრინჯაოს (ცუცხვათის IV) მღვიმე,
- 5) ორმაგი ეხის (ცუცხვათის V) მღვიმე,
- 6) დათვის (ცუცხვათის VI) მღვიმე,
- 7) ღამურების (ცუცხვათის VII) მღვიმე,
- 8) მოაჯირიანი (ცუცხვათის VIII) მღვიმე,
- 9) პორფირიტული (ცუცხვათის IX) მღვიმე,
- 10) ცუცხვათის ზედა (ცუცხვათის X) მღვიმე,

11) ბეჟიას ტბის (ცუცხვათის XI) მღვიმე

ღირსშესანიშნაობა: ოკრიბა-არგვეთის ქედში, უროგენულ კირქვებში გამომუშავებულ ცუცხვათის მღვიმოვანს, ადგილობრივები „მადარას“ უწოდებენ. მღვიმე შედგება 13 სართულისგან. ქვევიდან პირველი სართული ადამიანისთვის გაუვალი ვიწრო ხვრელია, რომელშიც გაედინება მუდმივი ნაკადი - მდ. შაბათაღელე. მღვიმის ქვემოთ მდინარეს ჭიშურა ეწოდება. მეორე სართული (მთავარი ტალანი) ატარებს უზარმაზარი ბუნებრივი გვირაბის ხასიათს (სიგრძე - 200 მ, სიგანე - 10-30 მ, სიმაღლე 10-28 მ). მასში წყალი მხოლოდ შაბათაღელის წყალდიდობის დროს გაედინება. ტალანის განშტოებებში არის წყაროები, პატარა ტბა, კალციტის ნაწვეთი ფორმები. ჭერთან შენახულია ადამიანის მიერ დამაგრებული ძელები - ძველი საკულტო ნაგებობის ნაშთი. მეოთხე სართულიდან დაწყებული და უფრო ზევით მღვიმეები უწყლოა. მათში ნაპოვნია არქეოლოგიური ძეგლები შუა პალეოლითიდან (მუსტიეს ეპოქიდან) ბრინჯაოს ხანამდე და ისტორიულ ეპოქამდე, ცხოველთა ორმოცამდე სახეობის ძვლები. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს: 1. ბრინჯაოს მღვიმე (IV სართული), რომლის ნაფენტა საერთო სიმაღლავრე 12-13 მეტრს აღწევს; მათში აღბეჭდილია უკანასკნელი 140 000 წლის განმავლობაში მომხდარი კლიმატური ცვლილებები; 2. ზედა მღვიმე (X სართული), სადაც აღმოჩენილი იქნა პირველყოფილი საკულტო საგნები: საგანგებოდ დალაგებული მღვიმური დათვის თავის ქალები, ბარძაყის ძვლები და კბილები, მსხვერპლად შეწირული სხვა ცხოველთა ძვლები; 3. ქარაფში გახსნილი სამი მღვიმე (დათვის, ღამურებისა და მოაჯირიანი - VI-VIII სართულები), რომლებიც ატარებენ ფეოდალიზმის ხანაში სიმაგრეებად გამოყენების ნიშნებს - შენახულია ქვითკირის კედლები, გამოჭრილი საფეხურები, ქვევრების ნატეხები. აქვე ღამურების დიდი კოლონიაა. თავისი სიძველითა და სართულების რაოდენობით ცუცხვათის მღვიმოვანი ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში.

მდებარეობა: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ცუცხვათის სამხრეთით, მდ. ჭიშურის ხეობა, 320 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°16'24"; E 42°51'16";

მისასვლელი გზა: ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. ქუთაისი. თბილისიდან ქუთაისი დაშორებულია 230 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ; ქ. ქუთაისი - სოფ. ცუცხვათი - 24,3 კმ, ხანგრძლივობა - 40 წთ;

სოფ. ცუცხვათი - ცუცხვათის მღვიმოვანის ბუნების ძეგლი - 3 კმ, ხანგრძლივობა - 40 წთ.
დამისთევა: დამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>]. (იხ. დანართი №3).

ხონის მუნიციპალიტეტში გვხვდება ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე 2 ობიექტი:

1. ოკაცეს (კინჩხას) ჩანჩქერის ბუნების ძეგლი (კინჩხის თემი, სოფ. ქვედა კინჩხა)

ღირშესანიშნაობა: ბუნების ძეგლი წარმოადგენს მდ. საწისქვილოს ხეობაში, ასხის კირქვული მასივის აღმოსავლეთ ქარაფიდან, სამ საფეხურად გადმომავალ ჩანჩქერების კასკადს. ზედა ორი საფეხური მდ. საწისქვილოს მარჯვენა შენაკადზეა წარმოქმნილი, პირველის სიმაღლე დაახლოებით 25 მ-ია ხოლო მეორე ჩანჩქერის სიმაღლე 70 მ-მდე აღწევს. ნაკადის მდ. საწისქვილოსთან შეერთების შემდეგ 20 მეტრში წარომიქმნება კასკადის მესამე დაახლოებით 35 მ სიმაღლის საფეხური.

მდებარეობა: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. კინჩხას მიდამოები, 843 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°29'73"; E 42°33'03"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. ხონი. თბილისიდან ხონი დაშორებულია 260 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ; ქ. ხონი - სოფ. კინჩხა - 26 კმ; ხანგრძლივობა - 40 წთ; სოფ. გორდი, ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლის ვიზიტორთა ცენტრი - სოფ. კინჩხა - 5 კმ; ხანგრძლივობა - 15 წთ; სოფ. კინჩხა - ოკაცეს (კინჩხას) ჩანჩქერის ბუნების ძეგლი - 2,1 კმ; ხანგრძლივობა - 25 წთ (საფეხმავლო მარკირებული ბილიკი); **დამისთევა:** დამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>]. (იხ. დანართი №4).

2. ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი (კინჩხის თემი, სოფ. კინჩხა - ფერდი).

ღირშესანიშნაობა: ბუნების ძეგლი წარმოადგენს რთულ, პალეოგრაფიულ, გეოლოგიურ და განსაკუთრებული გეომორფოლოგიური აგებულებით გამორჩეულ კომპლექსს, რომლის შემადგენლობაში შედის ნეოტექტონიკური სტრუქტურები, ტბიური

ნალექები, თვალწარმტაცი კლიუზ-კანიონი.მდ. საწისქვილოს მიერ ზედაცარცულ კირქვებში გამომჟღავნებული ოკაცეს კანიონის სიღრმე 35-50 მ-ია, სიგანე საშუალოდ 4 მ, ზოგიერთ ადგილას კანიონის კედლები თითქმის უერთდება ერთმანეთს და ბუნებრივ ქვახიდებს წარმოქმნის, ერთ-ერთი მათგანია „ბოგა“, საიდანაც კანიონის ფსკერის დანახვაა შესაძლებელი. შუა მეოთხეულში მდ. საწისქვილოს ხეობა გადაიკეტა ტექტონიკური ნახლეტით და მასში გაჩნდა ტბა, რომელშიც თიხა-ქვიშა ილექებოდა. ტბიური ნალექების წყების სისქემ 27 მეტრს გადააჭარბა. მას შემდეგ რამდენიმე ათეულმა ათასმა წელმა განვლო. წყალმა იპოვნა გასასვლელი კირქვის ნაპრალებში, გააფართოვა ისინი და დაცალა ტბა. დაიწყო ტბიური ნალექების გადარეცხვა და კანიონის გამომჟღავნება. ამჟამად ტბიური ნალექები შემორჩენილია ცალკეულ ფრაგმენტებად. გორდის პლეისტოცენურ ტბიურ ნალექებში ნათლადაა გამოსახული სეზონური შრეებრიობა. შრეთა ყოველი წყვილი შეესაბამება ერთ წელს. ტბიური წყების პალინოლოგიური შესწავლით (ნამარხი მცენერების მტვრისა და სპორების მიკროსკოპული კვლევით) გაირკვა, რომ წყების ქვედა ნაწილში დაცულია ფლორის არქაული, სადღეისოდ გამქრალი სახეობების ნაშთები (ჭაობის კვიპაროზი ანუ ტაქსოდიუმი, ენგელჰარდტია, კარია, ტსუგა, კედარი ანუ ცედრუსი და სხვ.). გორდის ტბიური წყების უფრო მაღლა მდებარე შრეებში ეს მცენარეები აღარ არის, რაც არეკლავს ოროგენეზის მიერ გამოწვეულ კლიმატის აცივებას.


მდებარეობა: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. გორდის მიდამოები, 520 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°27'07"; E 42°33'00"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. ხონი. თბილისიდან ხონი დაშორებულია 260 კმ-ით; ხანგრძლივობა - 3 სთ და 30 წთ; ქ. ხონი - სოფ. გორდი, ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლის ვიზიტორთა ცენტრი - 21 კმ; ხანგრძლივობა - 25 წთ;

ღამისთევა: ღამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. წყალტუბოში ან ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>] (იხ. დანართი №5).

ქ. ქუთაისი - იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი

ღირსშესანიშნაობა: ქვედა ცარცულ კირქვებში გამომჟღავნებული მცირე ზომის სტალაქტიტებით, სტალაგნატებით და სტალაგმიტებით გამორჩეული თაღის ფორმის

შესასვლელიანი 40 მ-ის სიგრძის მღვიმეა, რომელიც მდ. წყალწითელას ხეობის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. 10 მ-ის გავლის შემდეგ მღვიმის სიგანე მცირდება 2,5 მ-დე, ბოლო ნაწილში ჭერი 0,5 მ-მდე დაბლდება. მღვიმე ბოლოში ლამიანი ჩამონაშლითაა გადაკეტილი. იგი მრავალი ტროგლობიონტი ცხოველითაა დასახლებული. აქ მოპოვებული ცხოველთა ძვლები და კაჟის იარაღები ცხადყოფს, რომ მღვიმე პალეოლითის ხანის ადამიანის სადგომს წარმოადგენდა. **მდებარეობა:** ქ. ქუთაისი, წყალწითელას კანიონის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი, სოფ. გოდოგნის ხიდთან, მდინარის მარჯვენა ნაპირი, 135 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** 42°16'03"; E 42°43'80"; **მისასვლელი გზა:** ბუნების ძეგლთან ყველაზე ახლომდებარე მსხვილი დასახლებული პუნქტია ქ. ქუთაისი. თბილისიდან ქუთაისი დაშორებულია 230 კმ-ით; ხანგრძლივობა. - 3 სთ; ქ. ქუთაისი - იაზონის მღვიმის ბუნების ძეგლი - 6,2 კმ, ხანგრძლივობა - 20 წთ. **დამისთევა:** დამის გასათევად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია ქ. ქუთაისში დარჩენა, სადაც შესაძლებელია სასტუმროში გაჩერება [დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>].



ნახ. №3. იმერეთის რეგიონის ბუნების ძეგლების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

როგორც დიაგრამა გვიჩვენებს, იმერეთის რეგიონში ბუნების ძეგლების რაოდენობა გადანაწილებულია შემდეგნაირად: ლიდერობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - 10 (მღვიმე-10), თერჯოლა - 3 (მღვიმე-3), ტყიბული-3 (მდინარეული ხეობა-1, ჩანჩქერი-1, მღვიმოვანი-1 (11 მღვიმე)), ხონი - 2 (ჩანჩქერი-1, კანიონი-1), ქ. ქუთაისი (მღვიმე-1). მთლიანობაში, იმერეთის 19 ბუნების ძეგლიდან მღვიმე არის - 15, ჩანჩქერი - 2, ბუნებრივი ღირსშესანიშნავი მდინარეული ხეობა - 1, კანიონი - 1. (იხ. დანართი №6).

2.2. ბუნებრივი ღირსშესანიშნავი მდინარეული ხეობები

საკვლევი რეგიონის რელიეფის იერ-სახის შექმნაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მდინარეულ ხეობებს, რომელთა ხშირი ქსელით დასერილ-დაღარულია მთელი ტერიტორია. ისინი სხვადასხვა ლითოლოგიური შედგენილობისა და ტექტონიკური სტრუქტურების ფარგლებში გაედინებიან და ამიტომ გააჩნიათ ხეობათა მორფოლოგიური სიჭრელე, თუმცა მთიანი რელიეფის სიჭარბის გამო მაინც დომინირებულია ეროზიული, ვიწრო, V-სებრი და კანიონისებრი ხეობათა მორფოლოგიური ტიპები.

მთელი იმერეთი მოქცეულია მდ. რიონის აუზში. ამასთან, ტერიტორიის უმეტესი ნაწილი უკავია მდ.რიონისა და ყვირილის მარცხენა მხარის შენაკადებს. უმთავრესი მდინარე - რიონი გაედინება ტერიტორიის დასავლურ ნაწილში. ოკრიბის დაბალი მთების ფარგლებში მას მერიდიანული მიმართულება აქვს, ხოლო შემდგომ. ქ. ქუთაისის ქვემოთ იგი გამოდის ვაკე-დაბლობზე, ღებულობს განედურ მიმართულებას. მისი მარცხენა შენაკადებია მდ.მდ. სულორი, ხანისწყალი და მრავალი მცირე მდინარე, ხოლო მარჯვენა მხრიდან ერთვის მდ. მდ. ცხენისწყალი და გუბისწყალი.

ყველაზე დიდი მდინარე, რომელიც იმერეთში იწყება და მთავრდება, არის ყვირილა (სიგრძე 153 კმ). იგი სათავეს იღებს წონას ტბიდან და რიონს მარცხნიდან შეერთვის ს. ვარციხესთან. მისი საერთო მიმართულება დიაგონალურია, მაგრამ სხვადასხვა მონაკვეთებზე იცვლის, ზოგან გასწვრივი და გამკვეთია. საჩხერის ქვაბულში და ქ. ზესტაფონს ქვემოთ მისი მიმართულება განედურია, სხვაგან თითქმის სუბმერიდიანული.

მდინარე ყვირილის შენაკადებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მდინარე ძირულა (სიგრძე- 83 კმ), რომელიც მას შორაპანთან უერთდება. მდ. ძირულას მთელი რიგი შენაკადები გააჩნია - მდ. მდ. ჩხერიმელა (სიგრძე-39 კმ), დუმალა, ხელმოსმულა, და სხვა. გარდა ამისა, ყვირილის შენაკადებია მდ. მდ. ჩიხურა, სამალიხევი, ჯრუჭულა და სხვა [გეგუჩაძე შ,1973].

იმერეთის კირქვიანი რაიონებისათვის დამახასიათებელია კარსტული ტიპის მდინარეები. თავისი დინების გარკვეული ნაწილით ისინი მიედინებიან მიწის ქვეშ კარსტულ სიცარიელებში. რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობზე, ამ ტიპის მდინარეს მიეკუთვნება მდ. ბუჯა რომელიც 2-ჯერ იკარგება და კვლავ გამოდის ზედაპირზე. მდ. ბუჯის გაუჩინარება ხდება მ. საწალიკეს სამხრულ ფერდობზე, 1450 მ სიმაღლეზე; მიწის ქვეშ 500 მ გავლის შემდეგ მდინარე გამოდის ქვაბულიდან და მაღალი ჩანჩქერის სახით ეშვება ქვემო ბუჯის ხეობაში. დინების ქვემოთ სოფ. ხრეთისა და რცხილათს შორის იმყოფება მდ. ბუჯის მეორე მონაკვეთი მიწის ქვეშ. დასავლეთით ოკრიბა-არგვეთის სერს გადაკრეფს მიწისქვეშა გვირაბები მდ. შაბათაღელე და ჭიშურა. ისინი ქმნიან მაღარას მრავალსართულიან გვირაბს (ცუცხვათის მღვიმეოვანი). მდ. ტყიბულა-ძვერულა კი პერიოდულად მიედინებიან ამოქოლილ მიწისქვეშა ვიწრო არხში (ამის გამო ახალსოფლის ქვაბულში ხშირად ჩნდებოდა ტბა).

ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი მდ. რიონის დასავლეთ ნაწილში - სამგურალის ქედზე და ჭიათურის სტრუქტურული პლატოს რაიონში. კარსტული დრენაჟის რაიონებში არის გავრცელებული მკვდარი ხეობები. მაგალითად ს.ს. საკურწე-კაცხი და ნიგოზეთის გარეუბნები მთლიანად მოკლებულია ზედაპირულ წყლებს.

ზემო იმერეთის პლატოს მცირე ზეგნებად ანაწევრებენ მდ. ყვირილის მრავალრიცხოვანი მარჯვენა (წყალწითელა, ბოგირისწყალი, წისქვილისწყალი, რგანისწყალი, კაცხურა და სხვ.) და მარცხენა (შავლეთისღელე, ითხვისისღელე, შუქრუთისღელე, პერევისასღელე და სხვ.), ასევე მდ. ძირულის მარცხენა (დუმალა, გეზრულა, ხელმოსულა და სხვ.) შენაკადები. მათ მიერ გამომუშავებული კანიონების ქსელი წარმოადგენს ოროგრაფიულ ერთეულთა რთულ სისტემას, რომლითაც დაღარულ-დასერილია ჭიათურის სტრუქტურული პლატოს ზედაპირი. ანალოგიური მდგომარეობა,

ოღონდ უფრო ფართო მასშტაბით, გვაქვს რაჭის ქედის სამხრულ და მესხეთის ქედის ჩრდილო კალთებზე, სადაც ოროგრაფიული იერსახის შექმნაში უდიდესი როლი ეკუთვნით მდინარეულ ხეობებსა და ქვაბულებს. რაჭის ქედის სამხრულ კალთაზე ამ მხრივ მნიშვნელოვანია: მდ. ლეხიდრის, წყალწითელას, ტყიბულას, ძუსის, ბუჯის, ჯრუჭულის, ჩიხურის, შუშის, ხახიეთისწყლის, თედელეთისწყლის ხეობები და ტყიბულას, მუხურისა და ხრეთის ეროზიული ქვაბულები. მესხეთის ქედის ჩრდილო ფერდობზე მდ. ზვარულის, ვახანისწყლის, ბჟოლისხევის, ლედვანურის, ვანისწყლის, ლაფნარას, ჯიხველას, ოკიშურას, კორბოულას, აჯამურის, საკრაულას, ლაშურის, ხანისწყლის, ქერშავეთის, წაბლარისწყლის, კორისწყლის, ფერეთის, სულორის, ყუმურის, ხევისწყლისა და სხვათა ხეობები [მარგველანი გ, 1970].

ამჯერად მიმოვიხილავთ იმერეთის ყველაზე მსხვილი ტრანზიტული მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის ხეობებს, რომლებიც მეტად თვალსაჩინო როლს ასრულებენ იმერეთის ოროგრაფიული სურათის შექმნაში. იმერეთის ფარგლებში მოქცეული მდ. რიონის ხეობის მონაკვეთის (ტვიშის კლდეკარსა და ს. ტოლებს შორის) სიგრძე შეადგენს 95 კმ-ს. ტვიშის კლდეკარში რიონის ტალვეგი 350 მეტრის აბსოლუტურ სიმაღლეზეა, ხოლო ხვამლ-ორხვის მასივების თხემები საშუალოდ 1900 მეტრზე, ე.ი. ეროზიული ჩაჭრის სიღრმე აქ შეადგენს 1550 მ. კლდეკარის ქარაფებზე გვხვდება რამდენიმე კარსტული მღვიმე, რომელთაგან ორხვის მღვიმეები შესასვლელად თითქმის მიუწვდომელია. ტვიშის სამხრეთით რიონის თითქმის მერიდიანული ხეობა (გრძელდება მდ. ყვირილის შესართავამდე) გამომუშავებულია საქართველოს ბელტის ოკრიზის ქვეზონაში (ჯერ იურულ და შემდეგ ცარცულ ნალექებში), სადაც რელიეფის საერთო სიმაღლითი მაჩვენებლების შემცირების პირობაზე ხეობის შემომფარგვლელი ეროზიული ოროგრაფიული ერთეულები კოლხეთისაკენ დაბლდებიან.

მეორე ტრანზიტული მდინარის **ცხენისწყლის** ხეობის მონაკვეთის (სარეწკალას კლდეკარიდან შესართავამდე) სიგრძე იმერეთში 60 კმ-ია. ასხისა და ხვამლის კირქვულ მასივებს შორის ჩაჭრილ სარეწკალას კლდეკარიდან ს. ხიდამდე (ხონის რაიონი) გრძელდება მდ. ცხენისწყლის დიაგონალური მიმართულების ხეობა, სადაც განირჩევა რამდენიმე მონაკვეთი: სარეწკელა-ღვედის უბანში ეროზიული გარდიგარდმო გამკვეთი

ხეობა ჩაჭრილია ოკრიბის ანტიკლინური ამაღლების მეორად სტრუქტურებში (აქ გორმადალის ანტიკლინი აგებს ხეობის მარცხენა კალთას, ოყურემის სინკლინი ხეობის გაფართოებულ ნაწილს იმავე სოფლის მიდამოებში). სს. ღვედსა და ხიდს შორის ხეობის მარჯვენა ფერდობი წარმოქმნილია ასხის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ დაბოლოებაში [გეგუჩაძე შ, 1973].

მდინარეული ხეობები თავის მნიშვნელოვანი მდებარეობით გამოირჩევა, მათი უმეტესობა ტურიზმის განვითარების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს, შესაძლებელია მდინარეულ ხეობებში ერთდროულად რამდენიმე ტურისტული აქტივობის ჩატარება, როგორცაა რაფტინგი, კანიონინგი, სპორტული თევზაობის ტური, საფეხმავლო, საცხენოსნო და საავტომობილო ტურების ორგანიზება.

იმერეთში ბევრი სწრაფი მდინარეა, რომელიც პირდაპირ კლდოვანი მასივებიდან მოედინება და გარს მთები აკრავს. წყალი 2875 მეტრის სიმაღლიდან დიდ მდინარეებში ჩაედინება, შემდეგ აღწევს ვარციხის წყალსაცავში და ზღვის დონიდან 22 მეტრზე გაედინება იმერეთიდან. აქ, სხვადასხვა სირთულის მდინარეებზე ძალიან ბევრი შესაძლებლობაა, რომ ჯომარდობით და კაიაკინგით მარტო ან ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად დაკავდეთ.

ხეობაში, ხმელეთსა და წყალქვეშ მრავალი მინერალური წყარო მდინარეს სძენს საოცარ სამკურნალო თვისებებს. მდინარეში მრავლადაა კალმახი, წვერა, ჭანარი, მურწა, ქაშაპი, ტობი, შამაია და სხვ. მდინარის ნაპირებზე კი წავი და ნუტრია ბინადრობს. ზამთარში შესაძლებელია წყალმცურავი ფრინველების ნახვა, ძუძუმწოვრებიდან კი ტურა, მელა და მაჩვი გვხვდება.

რაფტინგი ანუ მდინარეზე ნავით დაშვება, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია. სპორტის ეს სახეობა გარკვეულ ფიზიკურ მომზადებასა და ცურვის ელემენტარულ ცოდნას მოითხოვს. რაფტინგით ინტერესდებიან ნებისმიერი ასაკის ადამიანები. მდინარეები, რომლებზეც ხდება დაშვება, ერთმანეთისგან სიძნელის შკალით განსხვავდება. მდინარეების ნორმალური სირთულე 2-2,5 ბალია, ხოლო მაქსიმალური- 6. სხვადასხვა დროს შესაძლებელია მდინარეებზე დაშვება. მაგალითად, ზოგიერთზე, ეს შესაძლებელია მაისისა და ივნისის თვეებში. ზოგიერთზე დაშვება კი - ივლისშიც.

იმერეთის რამდენიმე მდინარეზე სპორტული თევზაობა ადგილზე დაშვებულია ანკესიტა და ბადით. მდინარეებში თევზის, დაახლოებით 20-მდე სახეობა ბინადრობს.

თევზაობისათვის საუკეთესო სეზონია გაზაფხული და შემოდგომა. მრავლად არის ლოქო, კობრი, ფარგა, შამაია, ღორჯო, წვერა, კავკასიური ქაშაყი. ეს იმ თევზების ჩამონათვალია, რომლებსაც მეთევზე ვიზიტორები იჭერენ მდინარეზე, გაზაფხულობით და შემოდგომით. მდინარე ცხენისწყლის ხეობა მნიშვნელოვანია ტურისტული თვალსაზრისით. ცხენისწყალი მეტად პერსპექტიულია ასევე პატარა სპორტული ნაგებობით სამოგზაუროდ, სათავიდან შესართავამდე. ამ დანიშნულებით ადრე იყენებდნენ კიდევ მდინარეს.

იმერეთში გვხვდება შემდეგი ბუნებრივი ღირსშესანიშნავი მდინარეული ხეობები:

1. მდ. ოდასყურის ხეობა

მდებარეობა: ქ. ქუთაისი, ქალაქ-მუზეუმის ტერიტორიული ერთეული, 185 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°16'56"; E 42°41'10". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 224 კმ. ბათუმიდან - 154 კმ. ქუთაისის ცენტრიდან - 4 კმ.

2. მდინარე ძირულის ხეობა

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელ უბისის მიდამოები, საზღვარი ზესტაფონის სოფელ შროშასთან. 135 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°06'41"; E 43°12'15"; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან _ 150 კმ., ზესტაფონიდან _ 25 კმ., ქუთაისიდან _ 60 კმ.

3. მდინარე ჩხერიმელის ხეობა

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი. ძირულის მარცხენა შენაკადი. სათავე აქვს ლიხის ქედის დასავლეთ კალთაზე, ზ.დ. 1150 მ. სიგრძე 39 კილომეტრი. აუზის ფართობი 490 კმ². საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე თოვლის დნობის შედეგად. შუა თებერვლიდან ივნისის დასაწყისამდე. ზაფხულსა და ზამთარში წყალმცირობაა, ხოლო შემოდგომაზე - წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები. საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან - 13,6 მ³/წმ. **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან _ 150 კმ., ზესტაფონიდან _ 25 კმ., ქუთაისიდან _ 60 კმ.

4. მდ. ჯრუჭულის ხეობა

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელ სარეკში, მდინარე წისქვილისწყლის შესართავთან, ხვედელიძეების კლდის მღვიმის მახლობლად. 415 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°20'26"; E 43°20'54". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 168 კმ., საჩხერიდან - 8 კმ., ქუთაისიდან - 78 კმ.

5. მდ. შუშის ხეობა

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტი, ჭალის თემში, ნასოფლარ დავაეთთან, 700 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°21'56"; E 43°31'16". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 175 კმ., საჩხერიდან - 15 კმ., ქუთაისიდან - 95 კმ.

6. მდინარე ღვითორულას ხეობა

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ეწერის დასავლეთით, მდინარე ღვითორულას ხეობა, 135 მ. ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°14'51"; E 43°08'40". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 200 კმ. ჭიათურიდან - 20 კმ. ქუთაისიდან - 80 კმ.

7. მდინარე კაცხურას ხეობა

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სათავე აქვს ზ.დ. 1160 მ. რაჭის ქედის სამხრეთ კალთაზე. მარჯვნიდან ერთვის მდინარე ყვირილას. სიგრძე - 13 კმ, აუზის ფართობი - 31 კმ². საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა - ზამთარში, შემოდგომა - ზაფხულზე იცის წყალმოვარდნა. საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან - 0,9 მ³/წმ. **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 190 კმ. ჭიათურიდან - 10 კმ. ქუთაისიდან - 90 კმ.

8. მდინარე სამალიხევის ხეობა

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, ყვირილის მარცხენა შენაკადი. სათავე აქვს ზღვის დონიდან - 815 მ. სიგრძე - 10 კმ, აუზის ფართობი - 125 კმ². საზდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა - ზამთარში. **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 190 კმ. ჭიათურიდან - 10 კმ. ქუთაისიდან - 100 კმ.

9. მდინარე ყვირილის ხეობა

მდებარეობა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, საჩხერე-ქუთაისის სარკინიგზო მაგისტრალთან ახლოს, ადგილ ნიჩაფას მიდამოებში. 222 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°09'29"; E 43°09'07"; **მისასვლელი გზა:** მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით, აგრეთვე სარკინიგზო გზით. საფეხმავლო მარშრუტი - 0,5 კმ ბაქან ნიჩაფადან. მანძილი თბილისიდან - 195 კმ., ზესტაფონიდან - 15 კმ., ქუთაისიდან - 50 კმ.

10. მდინარე ბუჯის ხეობა

მდებარეობა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელ ტყლაპივაკეს მიდამოებში. 197 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°10'26"; E 43°05'14"; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 195 კმ., ზესტაფონიდან - 15 კმ., ქუთაისიდან - 45 კმ.

11. მდინარე ჩოლაბურის ხეობა

მდებარეობა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელ ჭალატყის მიდამოებში. 155 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°08'59"; E 43°01'58"; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 190 კმ., ზესტაფონიდან - 10 კმ., ქუთაისიდან - 40 კმ.

12. მდ. აჯამურის ხეობა

მდებარეობა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელ ტაბაკინის აღმოსავლეთით. 300 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°02'51"; E 43°01'27 ; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 195 კმ., ზესტაფონიდან - 15 კმ., ქუთაისიდან - 45 კმ.

13. მდინარე ქვერუნის ხეობა

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელ ძეგრის მიდამოებში, 333 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°15'42"; E 42°58'38"; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 225 კმ. თერჯოლიდან - 25 კმ. ქუთაისიდან - 60 კმ.

14. მდინარე ჭიშურის ხეობა

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელ ნახშირდელეს მიდამოებში. ცენტრალურ ავტომარგისტრალთან ახლოს, 120 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°12'56"; E 42°47'36"; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 210 კმ; თერჯოლიდან - 20 კმ. ქუთაისი - 12 კმ. ქუთაისი-თბილისის ცენტრალურ ავტომარგისტრალთან.

15. მდინარე ლეხიდრის ხეობა

მდებარეობა: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, რიონის მარცხენა შენაკადი. სათავე აქვს ნაქერალის ქედზე, ზ.დ. 1330 მ სიმაღლეზე. სიგრძე -22 კმ, აუზის ფართობი - 137 კმ². საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლით. წყალმოვარდნები იცის მთელი წლის განმავლობაში (განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე). საშუალო წლიური ხარჯი 6,8 მ³/წმ. **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 245 კმ., ტყიბულიდან - 15 კმ., ქუთაისიდან - 250 კმ.

16. მდინარე სემის ხეობა

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, გუბისწყლის მარჯვენა შენაკადი. მდებარეობს სოფლების - ცხუნკურისა და ყუმისთავის საზღვარზე. 965 მეტრი ზ.დ. სიგრძე - 24 კმ, აუზის ფართობი - 105 კმ². შერეული საზრდოობისაა. იცის წყალმოვარდნები.**მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 245 კმ. წყალტუბოდან - 20 კმ. ქუთაისიდან - 30 კმ.

17. ხანისწყლის ხეობა

მდებარეობა: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელ ხანის აღმოსავლეთით 4 კმ, მდინარე ხანის ხეობა, 700 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°55'55"; E 42°57'39"; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 249 კმ. ბაღდათიდან - 29 კმ. ქუთაისიდან - 54 კმ.

18. მდინარე წაბლარასწყლის ხეობა

მდებარეობა: ბაღდათის მუნიციპალიტეტი. სათავე აქვს მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზ.დ. 2200 მ სიმაღლეზე, ერთვის ხანისწყალს. სიგრძე 29 კილომეტრი, აუზის ფართობი 230 კმ². წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმოვარდნები - შემოდგომაზე, წყალმცირობა - ზაფხულსა და ზამთარში. საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან 6, 16 მ³/წმ. **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 249 კმ. ბაღდათიდან - 29 კმ. ქუთაისიდან - 54 კმ.

19. მდინარე საკრაულის ხეობა

მდებარეობა: ბაღდათის მუნიციპალიტეტი. სათავე აქვს მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზ.დ. 2460 მ. ხანისწყლის მარჯვენა შენაკადია. სიგრძე - 52 კილომეტრი. აუზის

ფართობი - 219 კმ². საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა - ზამთარსა და ზაფხულში, წყალმოვარდნები - შემოდგომაზე. საშუალო წლიური ხარჯი შესართავთან - 5, 34 მ³/წმ. მისასვლელი გზა: მანძილი თბილისიდან - 235 კმ. ბაღდათიდან - 15 კმ. ქუთაისიდან - 40 კმ.

20. მდ. კვინისწყლის ხეობა

მდებარეობა: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ინაშაურის სამხრეთით, 200 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°02'55"; E 42°39'18"; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 220 კმ. ვანიდან - 38 კმ. ქუთაისიდან - 15 კმ.

21. მდ. ძულუხურის ხეობა

მდებარეობა: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელ რომანეთის სამხრეთით, 275 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°01'20"; E 42°38'18"; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 220 კმ. ვანიდან - 38 კმ. ქუთაისიდან - 15 კმ.

22. მდ. ფერეთის ხეობა


მდებარეობა: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელ ფერეთის სამხრეთით, 260 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°03'33"; E 42°42'56"; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 220 კმ. ვანიდან - 38 კმ. ქუთაისიდან - 15 კმ.

23. მდ. გუბისწყლის ხეობა

მდებარეობა: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. კინჩხას მიდამოები, 843 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°18'43"; E 42°30'18"; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 290 კმ, ხონიდან - 20კმ. ქუთაისიდან - 50კმ.

24. მდ. ხევისწყლის ხეობა

მდებარეობა: სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელ ოფეთის სამხრეთით, 167 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°03'43"; E 42°22'05"; **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 285 კმ. სამტრედიიდან - 25 კმ, ქუთაისიდან - 60 კმ.



ნახ. №4. იმერეთის ბუნებრივი ღირსშესანიშნავი მდინარეული ხეობები მუნიციპალიტეტების მიხედვით

ამრიგად, იმერეთის რეგიონში გამოვყავით 25 ბუნებრივი ღირსშესანიშნავი მდინარეული ხეობა (იხილეთ დანართი №7). რაოდენობის მიხედვით, ისინი თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული მუნიციპალიტეტებში. ტყიბულის მუნიციპალიტეტში მდებარე მდინარე წყალწითელას ხეობას მინიჭებული აქვს ბუნების ძეგლის სტატუსი (დეტალურად განხილულია ბუნების ძეგლებში, გვ.26).

2.3. მდინარეული კუნძულები

მდინარეული კუნძული ეწოდება ხმელეთის ნაწილს, რომელიც გარემოცულია მდინარის წყლით. განასხვავებენ ნარიყითა და ეროზიის შედეგად წარმოქმნილ კუნძულებს, ეროზიული კუნძულები ჩნდება წყლის ნაკადის დამანგრეველი მოქმედების შედეგად კალაპოტის ამგებელ ქანებზე. აღსანიშნავია ასევე ჭორომები, რომელიც მდინარის ჩქერიანი, წყალმარჩხი მონაკვეთია და წარმოიქმნება იქ, სადაც მდინარის კალაპოტი გადაკვეთს ეროზიისადმი მდგრად, მკვრივ ქანებს. ამ მონაკვეთზე მდინარეს დიდი ვარდნა და სწრაფი

დინება აქვს. ჭორომები და კუნძულები გვხვდება მდინარე რიონზე, ყვირილაზე, ცხენისწყალზე და სხვ [ხარაძე, კ. 2014].

1. რიონის კუნძული

მდებარეობა: ქ. ქუთაისი, მუხნარის ტერიტორიული ერთეული, უბან სალორიაზე, მდინარე რიონის კალაპოტში, 121 მ. ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°13'58"; E 42°42'07"
მისასვლელი გზა: მანძილი თბილისიდან - 215 კმ. ბათუმიდან - 155 კმ. ქუთაისის ცენტრიდან - 5კმ. **ღირსშესანიშნაობა:** დიდი კუნძული ქუთაისში. ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ სიგრძე - 1,5 კმ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ სიგანე - 0,3 კმ.

2. ყვირილის კუნძული

მდებარეობა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელ პირველი სვირის ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე ყვირილის ხეობა. 134 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°07'24"; E 42°57'49". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 195 კმ. ზესტაფონიდან - 15 კმ. ქუთაისიდან - 45 კმ.

3. ყვირილის კუნძული

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვედა სიმონეთის მიდამოებში. ცენტრალურ ავტომაგისტრალთან ახლოს, 106 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°11'57"; E 42°51'01". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 205 კმ; თერჯოლიდან - 15 კმ. ქუთაისი - 19 კმ. ქუთაისი-თბილისის ცენტრალურ ავტომაგისტრალთან.

4. კუნძული ტყიბულის წყალსაცავში

მდებარეობა: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიდამოები, ტყიბული-თერჯოლის საავტომობილო გზის სიახლოვეს, კუნძულზე გადასვლა შესაძლებელია საწყალოსნო ტრანსპორტით. 561 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°17'47"; E 42°55'56". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 206 კმ. ტყიბულიდან - 13 კმ, ქუთაისიდან - 48 კმ.

5. რიონის კუნძული

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ტყაჩირის სამხრეთით, მდინარე რიონის ხეობაში არსებული კუნძული, 62 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°07'17"; E

42°39'12". მისასვლელი გზა: მანძილი თბილისიდან - 225 კმ. წყალტუბოდან - 40 კმ. ქუთაისის ცენტრიდან - 15 კმ.

6. ცხენისწყლის კუნძული

მდებარეობა: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეძილეთის მიდამოები, 210 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°25'24"; E 42°32'56". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან (წყალტუბოს გავლით)- 278 კმ, ხონიდან - 24 კმ. ქუთაისიდან (წყალტუბოს გავლით) - 38 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ალუვიური კუნძული.

7. კუხისწყლის კუნძული

მდებარეობა: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. კინჩხას მიდამოები, 843 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°16'01"; E 42°29'59" . **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 286 კმ. ხონიდან - 16კმ. ქუთაისიდან - 46 კმ;


8. რიონის კუნძული

მდებარეობა: სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელ ვაზისუბნის მახლობლად, **კოორდინატები:** N 42°05'54"; E 42°13'32". **მისასვლელი გზა:** სამტრედია-მახინჯაურის სარკინიგზო ხაზის ჩრდილოეთით, ახლოს გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის, საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი. მანძილი თბილისიდან - 273 კმ. სამტრედიიდან - 13 კმ, ქუთაისიდან - 48 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** იმერეთის ყველაზე დიდი მდინარეული კუნძული.

9. ცხენისწყლის კუნძული

მდებარეობა: სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ღანირის ტერიტორიული ერთეულის სოფელ გვაზაურის დასავლეთით 2 კმ, **კოორდინატები:** N 42°16'40"; E 42°19'31". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 274 კმ. სამტრედიიდან - 14 კმ, ქუთაისიდან - 49 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** მდინარეული ალუვიური კუნძულები.

მდინარეული კუნძულები



ნახ. №5. იმერეთის მდინარეული კუნძულები მუნიციპალიტეტების მიხედვით

ამრიგად, როგორც ცხრილი და დიაგრამა გვიჩვენებს, იმერეთის რეგიონში გვაქვს 9 მდინარეული კუნძული. მუნიციპალიტეტებს შორის კუნძულების რაოდენობით გამოირჩევიან სამტრედია (რიონის და ცხენისწყლის კუნძულები) და ხონი (ცხენისწყლის და კუხისწყლის კუნძულები). თითო-თითო კუნძული გვხვდება ზესტაფონში (ყვირილის კუნძული), თერჯოლაში (ყვირილის კუნძული), წყალტუბოში (რიონის კუნძული), ტყიბულსა (კუნძული ტყიბულის წყალსაცავში) და ქ. ქუთაისში (რიონის კუნძული).

კუნძულთა რაოდენობის მხრივ გამორჩეული მდინარეებია:

რიონი, რომლის კუნძულები გვხვდება ქ. ქუთაისში, წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში; ყვირილა, რომლის კუნძულები გვხვდება ზესტაფონისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში. ცხენისწყლის კუნძულები - სამტრედიისა და ხონის მუნიციპალიტეტებში.

5 მუნიციპალიტეტში (ხარაგაული, საჩხერე, ჭიათურა, ვანი, ბაღდათი) მდინარეული კუნძულები არ გვხვდება (იხ. დანართი № 8).

2.4. კანონები

კანონი ეწოდება მდინარის ღრმა ხეობას, ძალზე ციცაბო ფერდობებითა და ვიწრო ფსკერით, რომელიც, ჩვეულებრივ, მთლიანად მდინარის კალაპოტს უკავია. მნახველთათვის საინტერესოა კანონები, რომლებიც მდინარის ღრმა და ციცაბო გვერდებითაა წარმოდგენილი, ისინი უმთავრესად კირქვებით ან ლავებით აგებული მხარეებისათვისაა დამახასიათებელი. ზოგჯერ ჰორიზონტული განლაგებისა და სხვადასხვა მდგრადობის ქანებში კანონებს უვითარდებათ საფეხურიანი კალთები. ამასთან, კანონები უმთავრესად კირქვებით ან ლავებით აგებული მხარეებისათვის არის დამახასიათებელი.

საქართველოს მდინარეთა კანონები სხვადასხვა სიღრმის, ფორმის და გავრცელებისაა. მდინარეთა საკმაო ნაწილს გარკვეულ მონაკვეთებზე ღრმა კლდეკარები და კანონები გააჩნია. [ხარაძე, კ. 2014]

იმერეთში აღსანიშნავია ოკაცეს კანონი (ხონის მუნიციპალიტეტი), ყვირილის კანონი (ჭიათურის მუნიციპალიტეტი), სტეფურის (მდინარე მეღრუკის) კანონი, რომელიც მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში და სხვა კანონები, რომლებიც ქვემოთაა განხილული.

1. ჩხერიმელის კანონი

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, დაბა ხარაგაულის მიდამოები, 255 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°01'56"; E 43°11'25". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან _ 167 კმ., ხარაგაულიდან _ 3 კმ., ქუთაისიდან _ 47 კმ.

2. ცაშეკრულის კანონი

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ამაშუკეთის მიდამოები, 275 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°01'33"; E 43°11'18". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან 170 კმ. ხარაგაულიდან 3 კმ. ქუთაისიდან 50 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ტექტონიკური მოძრაობების შედეგად მონგრეული ქანებით ჩახერგილი ხეობა.

3. სტეფურის (მდინარე მეღრუკი) კანიონი

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, სოფ. მარელისის მიდამოები. 1200 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°54'35"; E 43°16'05". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან – 205 კმ., ხარაგაულიდან – 25 კმ., ქუთაისიდან – 75 კმ. „მაისუროვის“ რეინჯერთა სადგურიდან – 3 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კანიონისებური ხეობა, ადგილი „წყალიპარია“, ჩანჩქერი.

4. ციხისწყლის კანიონი

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ზოდის მიდამოებში. სოფელ ზედუბნის სამხრეთ-დასავლეთით, 555 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°21'11"; E 43°18'37". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 195 კმ. ჭიათურიდან - 15კმ. ქუთაისიდან - 75 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კანიონი, შუასაუკუნეების ციხესიმაგრე.

5. ყვირილის კანიონი

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ითხვისის მიდამოებში, 400 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°12'49"; E 43°19'33". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 175 კმ. ჭიათურიდან - 5კმ. ქუთაისიდან - 75 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** საჰაერო საბაგირო გზით, კანიონის ხეობის პანორამა.

6. წილთოს კანიონი

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ პერევისის, მიდამოებში. პერევისა-სვერის საავტომობილო გზაზე, 600 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°14'41"; E 43°018'08". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 225 კმ. ჭიათურიდან - 25კმ. ქუთაისიდან - 60 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ღრმა კანიონი, ორთვალაკლდის მღვიმე.

7. მდინარე მუსის კანიონი


მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, მდინარე მუსის ხეობაში, კანკიბის ხიდთან, 5 კმ სიგრძის კანიონი, სოფელ მუჯირეთთან, 300 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°16'46"; E 43°04'30". **მისასვლელი გზა:** სოფელი მუჯირეთიდან საფეხმავლო მარშრუტი-სიგრძე - 4 კმ. მანძილი თბილისიდან - 220 კმ. თერჯოლიდან - 20 კმ. ქუთაისიდან - 50 კმ.

8. მდინარე ჩხარის კანიონი

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, მდინარე ჩხარის ხეობაში, სოფელ მაჩიტაურთან, 500 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°16'19"; E 43°02'14". **მისასვლელი გზა:** კანიონთან ახლოს მისვლა შესაძლებელია ჯერ ალისუბანი-მაჩიტაურის საავტომობილო გრუნტის გზით, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით, მაჩიტაურის ციხის გავლით ეშვება ბილიკი ხეობაში. მანძილი თბილისიდან - 220 კმ. თერჯოლიდან - 20 კმ. ქუთაისიდან - 50 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კანიონი, მღვიმე და ფერდობის ზედა ნაწილში აგებული მაჩიტაურის ციხესიმაგრე.

9. მდ. ლეხიდრის კანიონი

მდებარეობა: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძმუისის მიდამოები, 786 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°25'23"; E 42°56'01". **მისასვლელი გზა:** სოფელ ძმუისიდან მიემართება საფეხმავლო მარშრუტი, მანძილი თბილისიდან - 245 კმ. ტყიბულიდან - 20 კმ, ქუთაისიდან (სოფ. ორპირის გავლით) - 40 კმ.



ნახ. №6. იმერეთის კანიონები მუნიციპალიტეტების მიხედვით

10. სულორის კანიონი

მდებარეობა: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა ისრითის სამხრეთ-დასავლეთ დაბოლოებასთან, სადაც მდინარე სულორის ხეობა ვიწროვდება. კანიონის სიგრძე 180-200 მ-ია. მდ. სულორის ხეობის ვერტიკალური ჩაჭრა კანიონის ფარგლებში 300 მ-ს უთანაბრდება. კალაპოტის სიგანე აქ 2-3 მ-ს შეადგენს. კანიონის ზემოთ მდ. სულორის ხეობა კვლავ ფართოვდება და გამომუშავებულია ტერასები.

ამრიგად, იმერეთის რეგიონში სულ გამოიყო 11 კანიონი (იხ. დანართი №9) მუნიციპალიტეტების მიხედვით გამოირჩევა ხარაგაული (3 - ჩხერიმელის, ცაშეკრულის, სტეფურის კანიონები) და ჭიათურა (3 - ციხისწყლის, ყვირილის და წილთოს კანიონები). 5 მუნიციპალიტეტში, ესენია: სამტრედია, ბაღდათი, წყალტუბო, საჩხერე, ზესტაფონი და ქ. ქუთაისი - კანიონები არ გვხვდება. ხონის მუნიციპალიტეტში მდებარე ოკაცეს კანიონს მინიჭებული აქვს ბუნების ძეგლის სტატუსი (დეტალურად განხილულია ბუნების ძეგლებში, გვ. 29).

2.5. ჩანჩქერები

ჩანჩქერი ეწოდება ადგილს, სადაც წყალი სწრაფად ეშვება მდინარეში. ის ძირითადად მდინარის ზედა წელში წარმოიქმნება. ისეთ ადგილებში, სადაც კალაპოტი ვიწროა და ღრმა. როდესაც მდინარე მიედინება ძირითად ქანებზე, ეროზია ხდება შედარებით ნელი ტემპით, მაშინ როდესაც დინების ქვემო წელში ეროზიას უფრო ჩქარი ტემპები აქვს. მდინარე ჩანჩქერიდან ვარდნის დროს სისწრაფეს კრეფს და უფრო მეტად შლის კალაპოტს, ასევე ჩანჩქერის ქვეშ შექმნილი მორევი ზრდის ეროზიის შედეგს. ეს იწვევს ჩანჩქერის გაღრმავებას და ვარდნის სათავესთან დაშორების ზრდას. ჩანჩქერი მდინარის კალაპოტში საფეხურზე გადმოვარდნილი წყალია. საქართველოს დიდი მდინარეები მაღალ ჩანჩქერებს თითქმის არ აჩენენ. ჩანჩქერების უმრავლესობა უკავშირდება ძველ გამყინვარებას, კარსტსა და ახალგაზრდა ვულკანების გავრცელების რეგიონებს და ამიტომ უფრო მეტად კავკასიონზეა წარმოდგენილი. იმერეთში აღსანიშნავია ოკაცეს ხეობაში არსებული ჩანჩქერი, ასევე ლეხიდრის სათავეებში, კინჩხის და სხვ.

მღვიმეებიდან გადმოსული ჩანჩქერები იშვიათ სანახაობას ქმნიან. მათი უმეტესობა ტურისტულ - საექსკურსიო ობიექტებია, ისინი დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე [ხარაძე, კ. 2014].

1. არჯოლის ჩანჩქერი

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარელისის მიდამოები. **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 195 კმ, ხარაგაულიდან - 15 კმ, ქუთაისიდან - 75 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი ჩანჩქერი.

2. ჩიხურის ხეობის ჩანჩქერი

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტი, ჩიხის თემის ჩრდილოეთით, კურორტ კვერეთიდან 8 კმ-ში. 1050 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°25'29"; E 43°27'20", **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 175 კმ., საჩხერიდან - 15 კმ., ქუთაისიდან - 95 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** საჩხერის მუნიციპალიტეტში ყველაზე მაღალი (20 მ) ჩანჩქერი.

3. ქვაბთაკარი

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ეწერის დასავლეთით, მდინარე ღვითორულას ხეობა, 135 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°14'51"; E 43°08'40", **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 200 კმ. ჭიათურიდან - 20 კმ. ქუთაისიდან - 80 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ჩანჩქერიან-ჭორომიანი ხეობა, ეროზიული ქვაბი.

4. თვალუეთის ჩანჩქერი

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ თვალუეთის მიდამოებში, სოფელ ცხრუკვეთთან საზღვარზე, მდინარე რეკვევისას (მდინარე სამალიხევის მაცხენა შენაკადი) ხეობაში 500 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°13'52"; E 43°16'07", **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 195 კმ. ჭიათურიდან - 15 კმ. ქუთაისიდან - 80 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ჭიათურის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი ჩანჩქერი.

5. ტაბაკინის ჩანჩქერი

მდებარეობა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაბაკინის მიდამოები, მდინარე აჯამურაზე, 28 მეტრი სიმაღლის ჩანჩქერი. **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 186 კმ. ქუთაისიდან - 36 კმ.

6. ალისუბნის ჩანჩქერი

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, მდინარე ჩხარის ხეობაში, სოფელ მაჩიტაურთან, 500 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°16'19"; E 43°02'14". **მისასვლელი გზა:** კანიონთან ახლოს მისვლა შესაძლებელია ჯერ ალისუბანი-მაჩიტაურის საავტომობილო გრუნტის გზით, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით, მაჩიტაურის ციხის გავლით ეშვება ბილიკი ხეობაში. მანძილი თბილისიდან - 220 კმ. თერჯოლიდან - 20 კმ. ქუთაისიდან 50 კმ.

7. მდ. ლეხიდრის ჩანჩქერი

მდებარეობა: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძმუისის მიდამოები, 786 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°25'23"; E 42°56'01", **მისასვლელი გზა:** სოფელ ძმუისიდან მიემართება საფეხმავლო მარშრუტი, მანძილი თბილისიდან - 245 კმ. ტყიბულიდან - 20 კმ, ქუთაისიდან (სოფ. ორპირის გავლით) - 40 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** რამდენიმე საფეხურიანი ჩანჩქერი.

8. მეჩხერის ჩანჩქერი


მდებარეობა: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძმუისის მიდამოები, 969 მეტრი ზღვის დონიდან. **კოორდინატები:** N 42°25'09"; E 42°56'50", **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 240 კმ. ტყიბულიდან - 17 კმ, ქუთაისიდან (სოფ. ორპირის გავლით) - 35 კმ.

9. ქერშავეთის ჩანჩქერები

მდებარეობა: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, მდინარე ქერშავეთის ხეობაში არის სამი ჩანჩქერი: თავდავიწყების, გელოიქეთის, ძნელაძეების. ადგილ სალაშქროსთან ახლოს თავდავიწყების ჩანჩქერის სიმაღლე 1050 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°52'55"; E 42°52'57" (თავდავიწყების ჩანჩქერი). **მისასვლელი გზა:** მწვერვალთან ახლოს მისვლა შესაძლებელია საავტომობილო გრუნტის გზით, ქერშავეთის ხეობაში. მანძილი თბილისიდან - 255 კმ. ბაღდათიდან - 35 კმ. ქუთაისიდან - 60 კმ.

10. ხანის ჩანჩქერი

მდებარეობა: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელ ხანის აღმოსავლეთით 5 კმ, მდინარე ხანის ხეობა, 800 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°55'43"; E 42°58'02", **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 250 კმ. ბაღდათიდან - 30 კმ. ქუთაისიდან - 55 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ყველაზე მაღალი ჩანჩქერი ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხანის კანიონისებური ხეობა.



ნახ. №7. იმერეთის ჩანჩქერები მუნიციპალიტეტების მიხედვით

იმერეთის მუნიციპალიტეტში გვაქვს 12 ჩანჩქერი (იხ. დანართი №10). მუნიციპალიტეტების მიხედვით გადანაწილებულნი არიან შემდეგნაირად: რაოდენობით ლიდერობს ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სადაც 3 ჩანჩქერი გვხვდება (მდინარე ლეხიდრის, მეჩხერის და მუხურის ჩანჩქერი), ბაღდათში 2 (ქერშავეთის და ხანის ჩანჩქერები), ჭიათურაში - 2 (ქვაბთაკირის და თვალუეთის ჩანჩქერები), საჩხერეში - 1 (ჩიხურის ჩანჩქერი), ზესტაფონში - 1 (ტაბაკინის ჩანჩქერი), თერჯოლაში - 1 (აღისუბნის ჩანჩქერი), ხონში - 1 (მუხურის ჩანჩქერი), ხარაგაულში - 1 (არჯოლის ჩანჩქერი). ორ მათგანს მინიჭებული აქვს ბუნების ძეგლის სტატუსი, ესენია მუხურის ჩანჩქერის ბუნების ძეგლი და კინჩხას ჩანჩქერის ბუნების ძეგლი (ორივე მათგანი დეტალურადაა განხილული ბუნების ძეგლებში, გვ. 29).

2.6. ტბები

ტბა ხმელეთის ქვაბულში მოქცეული შენელებული წყალცვლის ბუნებრივი წყალსატევია. ტბები სხვადასხვა წარმოშობისაა - ტექტონიკური, ვულკანური, მყინვარული,

მდინარეული, ზღვიური, ეოლური, კარსტული, ანთროპოგენური, ჩაქცევითი და სხვ. სხვადასხვაა მათი ჰიდროლოგიური რეჟიმიც.

საქართველოში აღრიცხულია 860-მდე ტბა. მათი საერთო ფართობი 170 კმ²-ია, რაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 0, 24 %-ს შეადგენს. ისინი საზრდოობენ ძირითადად თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით, ამიტომ მათში წყლის დონის რყევა დამოკიდებულია ნალექების განაწილებაზე.

იმერეთი ტბებით არც თუ ისე მდიდარ რეგიონს წარმოადგენს, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი ტბები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ თავიანთი მუნიციპალიტეტისათვის:

1. ლეღვანის ტბა

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლეღვანის მიდამოები. 500 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°57'26"; E 43°15'16" **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან _ 182 კმ., ხარაგაულიდან _ 12 კმ., ქუთაისიდან _ 62 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ყველაზე დიდი ტბა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში.

2. ღვეის ტბა

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტი, ცხომარეთის თემში, სოფელ მოხვადან ჩრდილოეთით 4 კმ-ზე, რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობზე. ზღვის დონიდან 1370 მეტრზე. **კოორდინატები:** N 42°25'55"; E 43°17'18". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან _ 180 კმ., საჩხერიდან _ 20 კმ., ქუთაისიდან _ 100 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კარსტული ტბა, მიწისქვეშა მდინარეული ქსელის სიმრავლით.

3. პასიეთის კარსტული ტბა

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელ ქორეთიდან დასავლეთით, უბან პასიეთში. 580 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°18'28"; E 43°21'42". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან _ 166 კმ., საჩხერიდან _ 6 კმ., ქუთაისიდან _ 86 კმ.

4. ყვიჩორის ტბა

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელ ცხომარეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 კმ-ში. 1000 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°25'39"; E 43°26'42".

მისასვლელი გზა: მანძილი თბილისიდან – 176 კმ., საჩხერიდან – 16 კმ., ქუთაისიდან – 96 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კლდეზვავური წარმოშობის ტბა.

5. ხახიეთის ტბა

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტში, ჭალის თემში, სოფელ პერევის ჩრდილოეთით 3 კმ-ზე, ნასოფლარ ხახიეთში. 1020 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°24'03"; E 43°36'03". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან – 180 კმ., საჩხერიდან – 20 კმ., ქუთაისიდან – 100 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** 1991 წლის მიწისძვრის შედეგად წარმოქმნილი ტბა.

6. შემორევას ტბა

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ხრეთის მიდამოებში, 597 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°19'47"; E 43°10'42". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან – 220 კმ. ჭიათურიდან – 20 კმ. ქუთაისიდან – 90 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ჭიათურის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი ტბა.

7. ლურლუმელას ტბა

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ სკინდორისა და წინსოფლის მიდამოებში, მდინარე ლურლუმელას (ყვირილის მაცხენა შენაკადი) ხეობაში, ხელოვნური წყალსაცავის შთენილი. 555 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°15'38"; E 43°16'10". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან 186 კმ. ჭიათურიდან – 6 კმ. ქუთაისიდან – 76 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ჭიათურის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი წყალსატევი.

8. გოგნის ტბა

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელ გოგნის მიდამოებში, 930 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°18'12"; E 43°00'05". **მისასვლელი გზა:** ახლოს მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით სოფელ გოგნის ჩრდილოეთით, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით, სოფლიდან – 2 კმ, მანძილი თბილისიდან – 225 კმ. თერჯოლიდან – 25 კმ. ქუთაისიდან – 60 კმ.

9. თავშავას ტბა

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფელ დღნორისას ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე რიონის აუზის მდინარე ლაშისლელეს სათავე, 820 მეტრი ზ. დ.

კოორდინატები: N 42°27'54"; E 42°50'28". **მისასვლელი გზა:** ქვის გრუნტიანი გზა მიდის სოფელ საჩხეურამდე, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით მიდის გზა, სოფელი საჩხეური-თავშავას ტბა 3 კმ. მანძილი თბილისიდან - 270 კმ (ქუთაისის გავლით). წყალტუბოდან - 60კმ, ქუთაისიდან - 40 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი ტბა.

10. ბოსლევის ტბა

მდებარეობა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, საჩხერე-ქუთაისის სარკინიგზო მაგისტრალთან ახლოს, ადგილ ნიჩაფას მიდამოებში. 222 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°09'29"; E 43°09'07"; **მისასვლელი გზა:** მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით, აგრეთვე სარკინიგზო გზით. საფეხმავლო მარშრუტი - 0,5 კმ ბაქან ნიჩაფადან. მანძილი თბილისიდან - 195 კმ., ზესტაფონიდან - 15 კმ., ქუთაისიდან - 50 კმ.

11. ტაბაყუროს ტბა

მდებარეობა: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვედა გორას სამხრეთით, 260 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°03'22"; E 42°39'36". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან 220 კმ. ვანიდან 38 კმ. ქუთაისიდან 15 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ვანის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი ტბა.

12. დიდღვაბუნას ტბა

მდებარეობა: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხიდის ჩრდილოეთით, მდინარე დიდღვაბუნას აუზში, 430 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°26'21"; E 42°29'44". **მისასვლელი გზა:** სოფ. ხიდიდან მიემართება ბილიკი - 4 კმ, მანძილი თბილისიდან - 290 კმ, ხონიდან - 20კმ. ქუთაისიდან - 50კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კარსტული ტბა.

13. ნარიონალი ტბა

მდებარეობა: სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელ ვაზისუბნის დასავლეთით, სოფელ ჯაპანასთან ახლოს, 15 16 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°06'25"; E 42°13'03". **მისასვლელი გზა:** სამტრედია-მახინჯაურის სარკინიგზო ხაზთის ჩრდილოეთით, ახლოს გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის, საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი. მანძილი თბილისიდან - 275 კმ. სამტრედიიდან - 15 კმ, ქუთაისიდან - 50 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ყველაზე დიდი ნამდინარევი (ნარიონალი) ტბა საქართველოში.

გარდა ტბებისა, იმერეთის რეგიონში აღსანიშნავია ხელოვნური წყალსაცავები, რომლებსაც უდიდესი ტურისტულ-რეკრეაციული მნიშვნელობა გააჩნიათ, ესენია:

14. ტყიბულის წყალსაცავი

მდებარეობა: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ოკრიბის ქვაბულში. წყალსაცავი შექმნილია მიწაყრილის კაშხლით, რომლითაც დაგუბებულია მდინარე ტყიბულა იქ, სადაც ის ქვაბულის ფსკერზე ე. წ. „წყალდასავალთან“ კარსტულ შახტში იკარგებოდა. წყალსაცავს აქვს პატარა უბეები, მის შუა და დასავლეთ ნაწილში კუნძულებია. წყალსაცავის სიგრძეა - 8,1 კმ, უდიდესი სიგანე - 3,2 კმ, მაქსიმალური სიღრმე - 12,5 მ, საშუალო სიღრმე - 6,9 მ. ფართობი - 12,1 კმ². წყლის მოცულობა - 84 მლნ. მ³. საზრდოობს მდინარე ტყიბულისა და სხვა შენაკადების წყლით, აგრეთვე ატმოსფერული ნალექებით (1750 მმ წელიწადში). წყალსაცავის ქვაბული და მიმდებარე სერები აგებულია იურული და ცარცული ასაკის ქვიშაქვებით, თიხაფიქლებით, მერგელოვანი კირქვებით. სანაპირო ძირითადად დაბალი და დამრეცია. წყალსაცავში წყლის დონე ყველაზე მაღალია აგვისტო-სექტემბერში, დაბალია - თებერვალ-მარტში. დონეების საშუალო წლიური ამპლიტუდაა 575 სმ.

მდიდარია თევზით: თეთრულა, თაღლითა, კარჩხანა, კვირჩხალა, კალმახი, კობრი, თეთრი ამური, სქელშუბლა, ქაშაპი, წვერა, ციმორი, ღორჯო.

კოორდინატები: N 42°18'00"; E 42°55'32";

15. ვარციხის წყალსაცავი

მდებარეობა: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, მოიცავს ასევე წყალტუბოს, თერჯოლისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიას. ფართობი - 5,1 კმ², წყლის მოცულობა - 4,6 მლნ. მ³. მოწყობილია რიონზე, ხანისწყლისა და ყვირილის შესართავებთან. აღმოსავლეთით ესაზღვრება აჯამეთის აღკვეთილი. ერთვის მდინარეები - ყვირილა და ხანისწყალი. წყალსაცავი მნიშვნელოვნად განაპირობებს მდინარის ნაპირების ეროზიას. გამოიყენება ენერგეტიკული მიზნებისათვის. **კოორდინატები:** N 42°09'11"; E 42°42'02".


16. რიონის ჰიდროელექტროსადგური

მდებარეობა: ქ. ქუთაისი, მდინარე რიონზე. მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა 1927-1928 წლებში. საპროექტო სიმძლავრე - 48000 კვტ, წლიური გამომუშავება 250 მლნ. კვტ-სთ.

პირველი ორი აგრეგატი ექსპლუატაციაში შევიდა 1933 წელს, ხოლო III და IV აგრეგატი - 1934 წელს. ამავე წლის 30 ივლისს რიონის ჰიდროელექტროსადგური გადაეცა საექსპლუატაციოდ. 1934 წლიდანვე განხორციელდა რიონჰესისა და ზაჰესის პარალელური მუშაობა და შეიქმნა საქენერგოს სისტემა. 1951 წლიდან რიონის ჰიდროელექტროსადგურის მართვის სისტემა ავტომატურია. 1935-1983 წლებში რიონის ჰიდროელექტროსადგურმა გამოიმუშვა 13,3 მლრდ. კვტ.სთ ელექტროენერგია.

17. ზემო კუხის ტბა

მდებარეობა: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალბედისეულის სამხრეთით, მდინარე ზემო კუხზე აგებული წყალსაცავი, 843 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°22'21"; E 42°29'01". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 278 კმ, ხონიდან - 8კმ. ქუთაისიდან - 38კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ხონის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი წყალსატევი (წყალსაცავი მდინარე ზემო კუხზე).



ნახ. №8. იმერეთის ტბები მუნიციპალიტეტების მიხედვით

ამრიგად, იმერეთის რეგიონში გვაქვს 18 ტბა, ტბების სიხშირით გამოირჩევა საჩხერის მუნიციპალიტეტი, სადაც მდებარეობს 4 ტბა (დევის, პასიეთის, ყვიჩორის, ხახიეთის), ქიათურის მუნიციპალიტეტში - 2 (შემორევას და ღურღუმელას ტბები), ხონში - 2 (დიდღვაბუნას და ზემო კუხის ტბები), წყალტუბოში - 2 (თავშავას ტბა და გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი), (ეს უკანასკნელი დეტალურადაა განხილულია ბუნების ძეგლებში,

გვ. 23). ბაღდათში -1 (ვარციხის წყალსაცავი), ვანში -1 (ტაბაყუროს ტბა), სამტრედიამი - 1 (ნარიონალი ტბა), ხარაგაულში - 1 (ლედვანის ტბა), ქ. ქუთაისში - 1 (რიონის ჰიდროელექტროსადგური), ტყიბულში - 1 (ტყიბულის წყალსაცავი), თერჯოლაში - 1 (გოგნის ტბა), ზესტაფონში - 1 (ბოსლევის ტბა), (იხ. დანართი №11).

2.7. კლდე-სვეტები

კლდის სვეტები და კოშკები წარმოქმნილია დედამიწის ზედაპირის ხანგრძლივი დენუდაციის შედეგად. განსაკუთრებით ბევრია ასეთი ფორმები თოვლიან სარტყელსა და საშუალომთიან ზონაში. კლდის სვეტები დედამიწის მრავალ კუთხეშია, ბევრ მათგანზე ასვა მხოლოდ თოკებითა და კიბეებით შეიძლება. რელიეფის ასეთი წარმონაქმნები საქართველოში ბევრგან გვხვდება. ყველა მათგანი დაცვის ობიექტია. ძნელმისადგომია კაცხის სვეტი (ჭიათურის მუნიციპალიტეტში), იგი ბუნებრივ ხასიათთან ერთად ისტორიული მნიშვნელობისაცაა.

აღნიშნული ფორმები თითქმის ყველა ქანშია გამომუშავებული. ისინი გვხვდება კირქვებსა და კონგლომერატებში, ვულკანურ ტუფებსა და ქვიშაქვებში, ტუფბრექჩიებში, ვულკანურ ქანებსა და სხვ.

ბუნებრივი კლდის სვეტები და კოშკები გაცილებით მეტია ნივალურ სარტყელში. გამოფიტვის ამგვარი მკვეთრი ფორმები ამ ზონაში ასეულობით დაითვლება, რომელთა განზომილებები დიდი არ არის. ამასთან, ისინი ძალზე ძნელი მისადგომია. საშუალო მთიან ზონაში კი, სვეტისებრი ეროზიული მოწმე, თავდასაცავი ციხესიმაგრისა და კოშკის ასაგებად იყო გამოყენებული [ხარაძე კ, 2014].

იმერეთის კლდოვანი სვეტებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. თეთრი ქვები

მდებარეობა: ქ. ქუთაისი, ქალაქ-მუზეუმის ტერიტორიული ერთეული, 133 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°15'33"; E 42°42'18". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 220 კმ. ბათუმიდან - 150 კმ. ქუთაისის ცენტრიდან - 0,5 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კირქვული ნაირგვარი ეროზიული ფორმები.

2. ჩხერის შთენილი

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩხერის მიდამოები. 375 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°00'03"; E 43°13'41". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან – 175 კმ., ხარაგაულიდან – 5 კმ., ქუთაისიდან – 55 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კარგად გამოკვეთილი, შთენილი ეროზიულ-დენუდაციური მოწმე. მასზე აგებულია ისტორიული ციხესიმაგრე.

3. ნუნისის ბერების კლდე

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნუნისის მიდამოები. 625 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°56'38"; E 43°24'28". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან (სურამიდან) – 155 კმ., ხარაგაულიდან – 35 კმ., ქუთაისიდან 85 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში მდებარე კლდოვან ქანებში გამომუშავებული გამოქვაბული.

4. კლდეკარის სვეტი

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, მესხეთის ქედის ჩრდილოეთ განშტოება, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. 2360 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°53'19"; E 43°07'35". **მისასვლელი გზა:** ადგილ „ქვაზინებიდან“ მიემართება საფეხმავლო ბილიკი, საავტომობილო გრუნტის გზიდან – 4 კმ. მანძილი თბილისიდან – 215 კმ., ხარაგაულიდან – 45 კმ., ქუთაისიდან – 85 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ქვის სვეტები ალპურ მდელოებში.

5. მოღობილას კლდე-სვეტები

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, მესხეთის ქედის ჩრდილოეთ განშტოება, მდინარე საკრაულას სათავე. 2100 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°53'46"; E 43°05'58". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 220 კმ., ხარაგაულიდან - 50 კმ., ქუთაისიდან - 90 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ეროზიულ-დენუდაციური პროცესებით მიღებული კლდოვანი ქვის სვეტები.

6. მოდინახეს კლდე

მდებარეობა: ქალაქ საჩხერის ჩრდილოეთით, სარეკის ტერიტორიული ერთეული. 700 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°20'54"; E 43°24'16". **მისასვლელი გზა:** მანძილი

თბილისიდან – 163 კმ., საჩხერიდან – 3 კმ., ქუთაისიდან – 83 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების და ზემო იმერეთის სტრუქტურული პლატოს პანორამული ხედი.

7. ქვაყუნტია

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ხრეთის მიდამოებში. სოფლის ჩრდილოეთით, 1285 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°22'10"; E 43°12'14". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 205 კმ. ჭიათურიდან - 25კმ. ქუთაისიდან - 95 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** მოქანავე 7 ტ. კირქვის ლოდი.

8. კაცხის სვეტი

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ კაცხის მიდამოებში. მდინარე კაცხურას მარცხენა მხარეს, 580 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°17'16"; E 43°12'57". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 190 კმ. ჭიათურიდან - 10კმ. ქუთაისიდან - 70 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** შთენილი 40 მეტრიანი კირქვის ბუნებრივი სვეტი.

9. ქვაბთაკარი

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ეწერის დასავლეთით, მდინარე ღვითორულას ხეობა, 135 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°14'51"; E 43°08'40". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 200 კმ. ჭიათურიდან - 20 კმ. ქუთაისიდან - 80 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ჩანჩქერიან-ჭორომიანი ხეობა, ეროზიული ქვაბი.

10. სვერის შთენილი კლდე

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ სვერში, მდინარე სამალიხევის მარცხენა მხარეს, 637 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°14'02"; E 43°18'46". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 225 კმ. ჭიათურიდან - 25კმ. ქუთაისიდან - 60 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** შთენილ კლდეზე აგებული ციხესიმაგრე.

11. მდინარე ჩოხალთის ქვაბები

მდებარეობა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, დილიკაურის ტერიტორიულ ერთულში სოფელ ქველეთუბნის დასავლეთით. 330 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°10'12"; E 43°06'08". **მისასვლელი გზა:** ზესტაფონი-ჭიათურის საავტომობილო

გზატკეცილიდან 5 კმ. მანძილი თბილისიდან – 195 კმ.. ზესტაფონიდან – 15 კმ., ქუთაისიდან – 50 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** გრანიტულ ქანებში ჩაჭრილი ეროზიული ქვაბები.

12. ძვერის სტრუქტურული რელიეფი

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ოკრიბა-არგვეთის სერზე, სოფელ ძვერის ჩრდილოეთით 2 კმ-ზე, 250 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°15'49"; E 42°57'35". **მისასვლელი გზა:** ახლოს მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით, სოფლიდან მანძილი - 3 კმ. მანძილი თბილისიდან - 218 კმ. თერჯოლიდან - 18 კმ. ქუთაისიდან - 48 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ტექტონიკური მოქმედებით შექმნილი რელიეფის საინტერესო ფორმები.

13. საზანოს პრეისტორიული ფაუნის ნაკვალევი

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელ ზედა საზანოსა და ვარდიგორას მიდამოებში., მდინარე ძუსას ხეობა, ადგილი „ქადაგიძის რაფი“ 233 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°14'58"; E 43°03'57". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 217 კმ. თერჯოლიდან - 17 კმ. ქუთაისიდან - 47 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ნიანგისმაგვარი ცხოველის ნაკვალევი.

14. ნაქერალას კლდე

მდებარეობა: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, რაჭის ქედი, ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზაზე, რაჭა-იმერეთის საზღვარზე, 1217 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°22'33"; E 43°01'54". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 230 კმ. ტყიბულიდან - 10 კმ, ქუთაისიდან - 77 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** რაჭის ქედის ყველაზე დაბალი წერტილი, ტყიბულისა და ოკრიბის პანორამული ხედი.

15. სემის ბუნებრივი ხიდი

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ცხუნკურის მიდამოები, სოფლიდან ხიდამდე საფეხმავლო მარშრუტია - 1 კმ. 160 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°18'88"; E 42°38'11". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 263კმ. წყალტუბოდან - 11 კმ. ქუთაისიდან - 31 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ბუნებრივი ქვიანი ხიდი.

16. ქვამართო

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ქუთაისი-ალპანა-ონის საავტომობილო გზასთან ახლოს. 1820 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°26'36"; E 42°45'44". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 260 კმ (ქუთაისის გავლით). წყალტუბოდან - 50კმ, ქუთაისიდან - 20 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** შთენილი კლდე.

17. ქვასახტარა

მდებარეობა: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, კურორტ საირმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე წაბლარას აუზი, 2205 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°51'33"; E 42°48'35". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 260 კმ. ბაღდათიდან - 40 კმ. ქუთაისიდან - 65 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კლდოვანი სვეტები, რელიეფის საინტერესო ფორმები.

18. საირმის სვეტი

მდებარეობა: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, კურორტ საირმესთან, მდინარე წაბლარისწყლის ხეობაში. 680 მეტი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°56'11"; E 42°45'17". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 243 კმ. ბაღდათიდან - 23 კმ. ქუთაისიდან - 48 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ბუნებრივი სვეტი.

19. გადიდის კლდოვანი ხეობა

მდებარეობა: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელ გადიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე გელასკურას ხეობა, 355 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°01'26"; E 42°31'34". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 220 კმ. ვანიდან - 38 კმ. ქუთაისიდან - 15 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კლდოვანი ქვა და გრავიტაციული პროცესებით ჩამოგორებული ლოდი.

20. ონჯოხეთის დიდქვა

მდებარეობა: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელ ონჯოხეთის დასავლეთით, 250 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°02'26"; E 42°30'15". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 220 კმ. ვანიდან - 38 კმ. ქუთაისიდან - 15 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** გრავიტაციული პროცესებით ჩამოგორებული ლოდი.

21. ციხისუბნის „ქვაბის ღელე“


მდებარეობა: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ციხისუბანი, მდინარე სულორის მარცხენა მხარეს. 160 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°02'34"; E 42°34'56". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 220 კმ. ვანიდან - 38 კმ. ქუთაისიდან - 15 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ქვაბის მსგავსი ხეობა.

22. დიდლალის ქვა-სვეტები

მდებარეობა: ვანის მუნიციპალიტეტი, მესხეთის ქედი, დიდლალის მიდამოებში, 2600 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°51'12"; E 42°39'43". **მისასვლელი გზა:** ქედზე გადის საავტომობილო გრუნტის გზა, რომელიც მიემართება, ვანის, ჩოხატაურის და საირმის მიმართულებით. მანძილი თბილისიდან - 225 კმ. ვანიდან - 25კმ. ქუთაისიდან - 60 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კლდოვანი ქვა-სვეტები, ალპური მდელოები, იმერეთის პანორამა.

23. კლეიდას მთა

მდებარეობა: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. საწისქვილოს მიდამოები, 1196 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°28'43"; E 42°31'57". **მისასვლელი გზა:** სოფელ საწისქვილოდან ჩრდილო-დასავლეთით მიმართება საფეხმავლო მარშუტი, სიგრძე 2 კმ. მანძილი თბილისიდან - 297 კმ, ხონიდან - 27 კმ. ქუთაისიდან - 57 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კირქვული კლდე, პანორამა.



ნახ. №9. იმერეთის კლდე-სვეტები მუნიციპალიტეტების მიხედვით

იმერეთის რეგიონში კლდე-სვეტების რაოდენობა შეადგენს 23-ს. აქ არ იგულისხმება მხოლოდ სვეტის ფორმის მქონე ობიექტი, აღნიშნულ კატეგორიაში გავაერთიანეთ როგორც შთენილი ეროზიულ-დენუდაციური მოწმე, ისე კლდოვანი ქვა, გრავიტაციული პროცესებით ჩამოგორებული ლოდი, ქვაბის მსგავსი ხეობები და სხვ. მათმა საერთო რაოდენობამ შეადგინა 23. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში - 4 (ჩხერის შთენილი, ნუნისის ბერების კლდე, კლდეკარის სვეტი, მოლობილას კლდე-სვეტები), ჭიათურის მუნიციპალიტეტში - 4 (ქვაყუნტია, კაცხის სვეტი, ქვაბთაკირი, მდინარე ჩოხალთის ქვაბები), ვანში - 4 (გადიდის კლდოვანი ხეობა, ონჯოხეთის დიდქვა, ციხისუბნის „ქვაბის ღელე“, დიდღალის ქვა-სვეტები), თერჯოლაში - 2 (ძვერის სტრუქტურული რელიეფი, საზანოს პრეისტორიული ფაუნის ნაკვალევი), წყალტუბოში - 2 (სემის ბუნებრივი ხიდი, ქვამარტო), ბაღდათში - 2 (ქვასახტარა, საირმის სვეტი), ქუთაისში - 1 (თეთრი ქვები), ზესტაფონში - 1 (სვერის შთენილი კლდე), საჩხერეში - 1 (მოდინახეს კლდე), ტყიბულში - 1 (ნაქერალას კლდე), ხონში - 1 (კლეიდას მთა), (იხ. დანართი №12).

2.8. მღვიმეები

მღვიმე არის ვრცელი სიღრუე დედამიწის ქერქის ზედა ფენაში, მიწის ზედაპირზე გამოდის ხვრელებით. წარმოიქმნება წყალში ხსნადი ნაპრალოვანი ქანების (კირქვა, დოლომიტი, თაბაშირი და სხვ.) გამოტუტვითა და გადარეცხვით, აგრეთვე სუფოზიური, აბრაზიული, ეოლური და სხვა პროცესების შედეგად. ყველაზე დიდი ზომის მღვიმეებია კარსტული მღვიმეები. ისინი წარმოქმნიან მრავალკილომეტრიან და მრავალსართულიან რთულ მღვიმურ სისტემებს, რომლებშიც მიწისქვეშა მდინარეები გადის, ზოგჯერ გვხვდება ტბები, ჩანჩქერები, სტალაქტიტები, სტალაგმიტები და სხვა კარსტული ფორმები.

ზოგიერთი მღვიმე ციცაბოდ ეშვება მიწის სიღრმეში და ე. წ. უფსკრულს წარმოქმნის. უღრმესი უფსკრულებია: კრუბერის გამოქვაბული - 2190 მ, თოვლიანი უფსკრული - 1753 მ

(საქართველო, ბზიფის ქედი), გვხვდება მრავალსართულიანი მღვიმეებიც (მაგ. ცუცხვათის მღვიმოვანი).

საქართველოში 1500-მდე მღვიმეა (მრავალი მათგანი შესწავლილია). კარსტული რელიეფი განვითარებულია ძირითადად დასავლეთ საქართველოში. მღვიმეები მდიდარია მიწისქვეშა წყლებითა და ტბებით. გვხვდება ისეთი მდინარეებიც, რომლებიც იკვებებიან ზედაპირული წყლებით, მაგრამ მიწისქვეშეთში გაედინებიან. ასეთ მდინარეებს კარსტულ მდინარეებს უწოდებენ. საქართველოს მღვიმეებში ბევრია ტბაც. ზოგი მათგანი შეგუბებული ტიპისაა, ზოგიც კი ჩანჩქერის ვარდნის ადგილზეა გაჩენილი.

საქართველოს მღვიმეებში არის ასევე სტალაქტიტები და სტალაგმიტები. ფართოდ გვხვდება სტალაქტიტები, რომელიც მრავალ მღვიმეშია გამოკვლეული. სტალაქტიტები სხვადასხვა ფორმებისაა: ფირფიტისებრი, წვრილმილისებრი, კონუსისებრი და სხვ. ჩვენს მღვიმეებში გვხვდება აგრეთვე სტალაგმიტები. უფრო გავრცელებულია კონუსისებრი, გუმბათისებრი და გიგანტური სანთლისებრი სტალაგმიტები. მათი სიდიდე მერყეობს რამდენიმე სმ-იდან რამდენიმე მ-მდე. საქართველოს მღვიმეებში გვხვდება ასევე რთული ექსცენტრული წარმონაქმნები, როგორებიცაა - ჰელიქტიტები, ჰელიგმიტები, სტალაგნატები და სხვ. მათგან უფრო გავრცელებულია ჰელიქტიტები, რომლებიც გვხვდება იმერეთის, კერძოდ სათაფლიის მღვიმეში. მღვიმეებში სპეციფიკური მიკროკლიმატი და ფაუნაა. ქვის ხანაში მღვიმეებში ადამიანები ცხოვრობდნენ. მღვიმეებს ახლა ფართოდ იყენებენ წყალმომარაგებისათვის, მაცივარ-სათავსოებად, სამკურნალო, ტურიზმისა და სხვა მიზნით. მღვიმეების მეცნიერული შესწავლითა და გამოკვლევით დაკავებულია სპელეოლოგია [ხარაძე, კ. 2014].

იმერეთის მხარე მღვიმეების მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა, განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. კოზმანის მღვიმე

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ამაშუკეთის მიდამოები, 625 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°06'03"; E 43°17'13". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 167 კმ. ხარაგაულიდან - 35 კმ. ქუთაისიდან - 62 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ყველაზე გრძელი მღვიმე ხარაგაულის მუნიციპალიტეტში.

2. დევისხვრელის მღვიმე

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლაშეს მიდამოები, 330 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°02'17"; E 43°11'30". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 165 კმ. ხარაგაულიდან - 5 კმ. ქუთაისიდან - 45 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ზედა პალეოლითის საწყისი ეპოქის არქეოლოგიური მღვიმის ძეგლი.

3. ბჟინევის მღვიმე

მდებარეობა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბჟინევის მიდამოები, მდინარე ბჟინეურას ხეობაში. 535 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°05'14"; E 43°19'45". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 150 კმ., ხარაგაულიდან - 40 კმ., ქუთაისიდან - 70 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ორსართულიანი მღვიმე და მღვიმიდან გამომავალი ვოკლუზური ჩანჩქერი.

4. პასიეთის მღვიმე

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტი, მდინარე ყვირილის ხეობა, მდინარის მარცხენა ფერდობი, საჩხერის მუნიციპალიტეტში. 420 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°19'02"; E 43°21'04". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 170 კმ., საჩხერიდან - 7 კმ., ქუთაისიდან - 78 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ადამიანის მიერ ამოშენებული მოაჯირი კარსტული მღვიმეში, არქეოლოგიური ობიექტი

5. „ხარშილაძის“ მღვიმე

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტი, კორბოულის თემში სოფელ ნიგვზარაში, 935 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°12'12"; E 43°28'39". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 145 კმ., საჩხერიდან - 20 კმ., ქუთაისიდან - 100 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კარსტული მღვიმე ვოკლუზური მდინარით.

6. სარეკის ეხი-მღვიმე

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტი, საჩხერე-ჭიათურის ავტომაგისტრალთან ახლოს, სოფელ სარეკში. 410 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°19'15"; E 43°21'54". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 166 კმ., საჩხერიდან - 6 კმ., ქუთაისიდან - 77 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კარსტული მღვიმე.

7. სარეკის აკაკი წერეთლის მღვიმე

მდებარეობა: საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელ სარეკში. 455 მეტრი ზ.დ.
კოორდინატები: N 42°19'16"; E 43°21'12". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 167 კმ.,
საჩხერიდან - 7 კმ., ქუთაისიდან - 76 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კარსტული მღვიმე.

8. ხრეთის მღვიმე-საყინულე

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, რაჭის ქედის სამხრეთ ფერდობზე, სოფელ ხრეთის ჩრდილოეთით, ადგილ ვაკე მთის ტრიტორიაზე, მდინარე ბუჯას მარჯვენა მხარეს, 1505 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°22'42"; E 43°08'55". **მისასვლელი გზა:** საყინულესთან ახლოს მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით, შემდეგ საფეხმავლო (0,3 კმ) მარშრუტით. მანძილი თბილისიდან - 215 კმ. ჭიათურიდან - 35კმ. ქუთაისიდან - 105 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კარსტული მღვიმე-საყინულე.

9. ბუჯის „კარიანი კლდის“ მღვიმე

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ ხრეთის მიდამოებში. სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, 1100 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°22'11"; E 43°10'48". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 205 კმ. ჭიათურიდან - 25კმ. ქუთაისიდან - 95 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** მდ. ბუჯის სათავე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი მიწისქვეშა ტბა, კედლის ნანგრევები.

10. მღვიმევის მღვიმე

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, ქ. ჭიათურის მიდამოებში. ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 480 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°17'51"; E 43°18'00". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 178 კმ. ჭიათურიდან - 2კმ. ქუთაისიდან - 70 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კარსტული მღვიმე, არქეოლოგიური ძეგლი, უძველესი მართმადიდებლური ტაძარი მღვიმევის მღვიმეში, ყვირილის ხეობის პანორამა.

11. ძუძუნას მღვიმე

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ მღვიმევის მიდამოებში მდინარე ნიკრისას (ყვირილას მარჯვენა შენაკადი) მარჯვენა მხარეს, 480 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:**

N 42°18'46"; E 43°19'03". მისასვლელი გზა: მანძილი თბილისიდან - 175 კმ. ჭიათურიდან - 5 კმ. ქუთაისიდან - 75 კმ. ღირსშესანიშნაობა: კარსტული მღვიმე, არქეოლოგიური ძეგლი, მსოფლიოში ყველაზე უძველესი ძაფის აღმოჩენის ადგილი (34 ათასი წელი).

12. კოტიასკლდის მღვიმე

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ სვერის მიდამოებში, 690 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°12'49"; E 43°19'33". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 195 კმ. ჭიათურიდან - 15კმ. ქუთაისიდან - 85 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კარსტული მღვიმე, არქეოლოგიური ძეგლი.

13. მანდაეთის მღვიმე

მდებარეობა: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელ მანდაეთის მიდამოებში, ზაქარიასკლდის კარსტული შახტი. 800 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°10'55"; E 43°20'14". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან (სოფ. კორბოულის გავლით) - 160 კმ. ჭიათურიდან - 15 კმ. ქუთაისიდან - 85 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული კარსტული მღვიმე.

14. შროშის მღვიმე

მდებარეობა: ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელ შროშის მიდამოებში. 250 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°07'28"; E 43°12'05". **მისასვლელი გზა:** მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით. მანძილი თბილისიდან - 155 კმ., ზესტაფონიდან - 25 კმ., ქუთაისიდან - 60 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი კარსტული მღვიმე.

15. საგვარჯილეს მღვიმე

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელ ძეგრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 0,5 კმ-ზე, 220 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°15'28"; E 42°57'27". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 215 კმ. თერჯოლიდან - 15 კმ. ქუთაისიდან - 45 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ქვის ხანის ადამიანის საცხოვრებელი.

16. სამჭინკიას მღვიმე

მდებარეობა: თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფელ თუზის მიდამოებში, მდინარე აჯის აუზში. 480 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°17'02"; E 43°05'46". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 220 კმ. თერჯოლიდან - 20 კმ. ქუთაისიდან - 50 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ყველაზე გრძელი მღვიმე თერჯოლის მუნიციპალიტეტში (სიგრძე 2425 მ).

17. ტყიბულა-ძვერულის მღვიმე

მდებარეობა: ტყიბულის მუნიციპალიტეტი, ტყიბულის წყალსაცავის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტყიბული-თერჯოლის საავტომობილო გზის სიახლოვეს, 498 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°16'33"; E 42°57'01". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 205 კმ. ტყიბულიდან - 15 კმ, ქუთაისიდან - 50 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** დაღმავალი, მიწისქვეშა ჩანჩქერიანი და ტბების სიმრავლით გამორჩეული მღვიმე.

18. ხვამლის ზედა მღვიმე

მდებარეობა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, ხვამლის კარსტულ მასივზე, სოფ. მექვენას ტერიტორიული ერთეულის ვანისჭალის ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე რიონის აუზი, მღვიმე იხსნება ფლატის გასწვრივ 1820 მ. ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°29'58"; E 42°43'09". **მისასვლელი გზა:** ქვის გრუნტიანი გზა მიდის სოფელ მექვენამდე, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით მიდის გზა, ხვამლის მასივის კლდის ძირამდე მანძილი 5 კმ, მღვიმეში შესასვლელად საჭიროა სამთო აღჭურვილობა, მანძილი თბილისიდან - 270 კმ (ქუთაისის გავლით). წყალტუბოდან - 60კმ, ქუთაისიდან - 40 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** იმერეთის ყველაზე მაღლა მდებარე კარსტული მღვიმე, ისტორიული დროის ნაგებობა. ფეოდალურ საქართველოში წარმოადგენდა მეფეთა „საგანძურთ სადებს“. შესასვლელი ამოშენებულია ქვითკირით.

19. კაკასხიდის მღვიმე

მდებარეობა: ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელ კაკასხიდის აღმოსავლეთით, მდინარე ხანის ხეობა, 430 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°16'15"; E 42°44'21". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 240 კმ. ბაღდათიდან - 20 კმ. ქუთაისიდან - 55 კმ.


ღირსშესანიშნაობა: ყველაზე დიდი მღვიმე ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხანის ხეობა.

20. ბზვანის მღვიმე

მდებარეობა: ვანის მუნიციპალიტეტი, სოფელ ზედა ბზვანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე ძულუხურას აუზი, 360 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°03'03"; E 42°36'05". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 220 კმ. ვანიდან - 20 კმ. ქუთაისიდან - 35 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ვანის მუნიციპალიტეტის ყველაზე დიდი მღვიმე.

21. გამოსადეგარის მღვიმე

მდებარეობა: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. საწისქვილოს ჩრდილოეთით 5 კმ. 960 მ.ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°29'20"; E 42°30'18". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 305 კმ, ხონიდან - 35კმ. ქუთაისიდან - 65კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ბუნების კარსტული მღვიმე, ვოკლუზი- მდინარე გამოსადეგარი.



ნახ.№11. იმერეთის მღვიმეები მუნიციპალიტეტების მიხედვით (%)

22. სათევზიის მღვიმე

მდებარეობა: ხონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეძილეთის მიდამოები, 215 მეტრი ზ. დ.
კოორდინატები: N 42°25'51"; E 42°33'55". **მისასვლელი გზა:** სოფელ ძეძილეთი-გელავერის გზასთან ახლოს. მანძილი თბილისიდან (წყალტუბოს გავლით) - 280 კმ, ხონიდან - 25კმ. ქუთაისიდან (წყალტუბოს გავლით) - 40 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** მღვიმის ქვედა სართული დამარხულია მდინარე ცხენისწყლის აკუმულაციით შექმნილი ალუვიონით.

ამრიგად იმერეთის რეგიონში სულ არის 180 ბუნებრივი მღვიმე, მათგან ყველაზე მეტი, 107 მღვიმე (59 %) მდებარეობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (იხ. დანართი №13), მეორე ადგილზეა წყალტუბო - 39 მღვიმით (22 %), შემდეგ ტყიბული - 14 მღვიმით (8 %), თერჯოლა - 6 მღვიმით (3 %), ქუთაისში - 2 (2%), ხონში - 2 (2 %), ვანის, ბაღდათის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში კი თითო-თითო მღვიმეა, შესაბამისად 1 %. სამტრედიას იმერეთის ერთადერთი მუნიციპალიტეტი, სადაც არცერთი მღვიმე წარმოდგენილი.

აღნიშნული 180 მღვიმიდან ბუნების ძეგლის სტატუსი აქვს მხოლოდ 15-ს (იხ.ბუნების ძეგლები, გვ. 16.)

2.9. მთები და პანორამული ხედები

მთა არის მნიშვნელოვანი სიდიდის იზოლირებული ბუნებრივი ამაღლება ხმელეთის მეტნაკლებად მოვაკებულ ზედაპირზე. მისი ელემენტებია: მწვერვალი - უმაღლესი წერტილის მიმდებარე ზედაპირი; ძირი - ფუძე ზედაპირის მკაფიოდ გამოსახული გარდატეხის ხაზი, რომელიც უწყვეტად შემოფარგლავს მთას; კალთები - ეს არის მწვერვალიდან მთის ძირამდე დაშვებული ფერდობი. განარჩევენ მაღალ (ალპურ), საშუალო სიმაღლისა და დაბალ მთებს რელიეფით, ფლორით და ფაუნით. ასეთი დაყოფა პირობითია, რადგან სიმაღლეთა ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული გრადაცია არ არსებობს, იგი იცვლება გეოგრაფიული განედის კლიმატური პირობების (უმთავრესად თოვლის მიჯნის სიმაღლის) შესაბამისად. ასეთი დაყოფა მოსახერხებელია ერთნაირ

გეოგრაფიულ პირობებში მდებარე მთების შესადაარებლად და გამართლებულია იმით, რომ მათ ერთმანეთისაგან განსხვავებული მორფოლოგიური სახე აქვთ: მაღალ მთებს ახასიათებს ძველი და თანამედროვე გამყინვარებისა და ინტენსიური ფიზიკური გამოფიტვისაგან დაკბილული მწვერვალები, გაშიშვლებული ციცაბო კალთები (მის კალთებზე არ იზრდება არც მცენარეულობა და არც ცხოველები ბინადრობენ), ხოლო საშუალო და დაბალ მთებს - მომრგვალებული მწვერვალები, გლუვი, დამრეცი კალთები, დაფარული გამოფიტვის ქერქით, ნიადაგითა და მცენარეულობით.

ერთმანეთზე გადაჯაჭვული ქედები და მთების მასივები ასეულ და ათასეულ კმ-ზე გაშლილ მთიან მხარეებს (მთებს) წარმოქმნიან. წარმოშობის მიხედვით განასხვავებენ ტექტონიკურ, ეროზიულ და ვულკანურ მთებს. ტექტონიკური მთები ძირითადად წარმოიქმნება გეოსინკლინში შრეების ინტენსიური დანაოჭებისა და დედამიწის ქერქის აზევების შედეგად. ტექტონიკური სტრუქტურების შესაბამისად განარჩევენ ნაოჭა და ლოდა მთებს. ეროზიული მთები დედამიწის ქერქის მაღლა აზიდული ჰორიზონტული სტრუქტურების პლატოსებრი ზედაპირის დანაწევრების შედეგია. ვულკანური მთები - ვულკანური კონუსების, ლავური ღვარების, ტუფური საფრის ერთობლიობაა[ხარაძე, კ. 2014].

ქალაქი ქუთაისი

მდებარეობა: ქალაქ-მუზეუმის ტერიტორიული ერთეული, 347 მ **ზ.დ.**
კოორდინატები: N 42°16'56"; E 42°44'03". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 224 კმ. ბათუმიდან - 155 კმ. ქუთაისის ცენტრიდან - 4 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ქუთაისის ყველაზე მაღალი წერტილი, ქუთაისის პანორამა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

1. მთა საბუეთი

მდებარეობა: გედსამანიის ქედი, სოფ. ფონას ჩრდილოეთით. 1248 მეტრი **ზ.დ.**
კოორდინატები: N 42°02'00"; E 43°28'29". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან (სურამის

გავლით) – 130 კმ., ხარაგაულიდან – 35 კმ., ქუთაისიდან 62 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ყველაზე ქარიანი ადგილი საქართველოში.

2. ხარაგაულის ყველაზე მაღალი წერტილი

მდებარეობა: მესხეთის ქედი, მთა სამეცხვარიო, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. 2642 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°52'06"; E 43°06'14". **მისასვლელი გზა:** მწვერვალთან ახლოს მისვლა შესაძლებელია საავტომობილო გრუნტის გზით. მანძილი თბილისიდან – 225 კმ., ხარაგაულიდან – 55კმ., ქუთაისის ცენტრიდან – 95 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის უმაღლესი წერტილი, ეროვნული პარკის პანორამა.

საჩხერის მუნიციპალიტეტი

3. გორაძირის ვულკანური მთა

მდებარეობა: კორბოულის თემი. გომი-საჩხერე-ზესტაფონის საავტომობილო გზის ჩრდილოეთით 0,5 კმ. 1108 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°13'38"; E 43°30'44". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან – 145 კმ., საჩხერიდან – 20 კმ., ქუთაისიდან – 100 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** იმერეთის ყველაზე ახალგაზრდა ვულკანური მთა, საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების და ზემო იმერეთის სტრუქტურული პლატოს პანორამული ხედი.

4. მოდინახეს პანორამა

მდებარეობა: ქალაქ საჩხერის ჩრდილოეთით, სარეკის ტერიტორიული ერთეული. 700 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°20'54"; E 43°24'16". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან – 163 კმ., საჩხერიდან – 3 კმ., ქუთაისიდან – 83 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფლების და ზემო იმერეთის სტრუქტურული პლატოს პანორამული ხედი.

5. საჩხერის ყველაზე მაღალი წერტილი

მდებარეობა: რაჭის ქედი, მთა ლებეური, 2862 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°27'35"; E 43°39'17". **მისასვლელი გზა:** მწვერვალთან ახლოს მისვლა შესაძლებელია საავტომობილო გრუნტის გზით. მანძილი თბილისიდან – 166 კმ., საჩხერიდან – 6 კმ.,

ქუთაისიდან - 77 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** იმერეთის მხარისა და საჩხერის მუნიციპალიტეტის უმაღლესი წერტილი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი

6. „საშევარდნოს“ პანორამა

მდებარეობა: სოფელ ზედა რგანის მიდამოებში. 530 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°25'06"; E 42°58'48". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 182 კმ. ჭიათურიდან - 2კმ. ქუთაისიდან - 72 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ყველაზე ციცაბო საბაგრო გზა, ჭიათურის პანორამა.

7. ჭიათურის ყველაზე მაღალი წერტილი

მდებარეობა: რაჭის ქედი, მთა საწალიკე, 1996 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°24'28"; E 43°12'47". **მისასვლელი გზა:** მწვერვალთან ახლოს მისვლა შესაძლებელია სოფელ ხრეითიდან ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით, ადგილ პატარა საწალიკიდან შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით 5 კმ ადგილ დიდი საწალიკის მიმართულებით. მანძილი თბილისიდან - 215 კმ. ჭიათურიდან - 35 კმ. ქუთაისიდან - 105 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ჭიათურის მუნიციპალიტეტის უმაღლესი წერტილი, ზემო იმერეთის პანორამა.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი

8. ტაბაკინის პანორამა

მდებარეობა: სოფელ ტაბაკინის სამხრეთით. 752 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°02'24"; E 43°02'07". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 200 კმ., ზესტაფონიდან - 20 კმ.. ქუთაისიდან - 55 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ტაბაკინის პანორამა.

9. ზესტაფონის ყველაზე მაღალი წერტილი

მდებარეობა: მესხეთის ქედის შტო-ქედი მამუკას სერის ქედი, სოფელ შუა კვალითის სამხრეთ-დასავლეთით, მთა საპიშლისთავი. 1088 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°03'35"; E 42°57'33". **მისასვლელი გზა:** მწვერვალთან ახლოს მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით, სოფელ შუა კვალითიდან მდინარე ჯაბოურისღელეს ხეობით. მანძილი თბილისიდან - 190 კმ., ზესტაფონიდან - 10 კმ., ქუთაისიდან - 45 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ზესტაფონის მუნიციპალიტეტის უმაღლესი წერტილი, იმერეთის პანორამა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

10. ბროლისქედი

მდებარეობა: სოფელ ბროლისქედის მიდამოებში. მდინარე ჭიშურის და ნახშირღელეს წყალგამყოფი. 384 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°14'04"; E 42°49'01".
მისასვლელი გზა: მანძილი თბილისიდან - 214 კმ; თერჯოლიდან - 24 კმ. ქუთაისი - 14 კმ. ქუთაისი-თბილისის ცენტრალური ავტომაგისტრალიდან 4 კმ-ში. **ღირსშესანიშნაობა:** პანორამა მდინარე ჭიშურის ხეობაზე.

11. თერჯოლის ყველაზე მაღალი წერტილი

მდებარეობა: მწვერვალი „კახა ბრეგვაძე“, ოკრიბა-არგვეთის სერის უმაღლესი მწვერვალი, სოფელ გოგნის მიდამოებში, 1041 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°17'596"; E 42°59'25". **მისასვლელი გზა:** მწვერვალთან ახლოს მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით - 2 კმ, სოფელ გოგნის მიდამოებში. მანძილი თბილისიდან - 230 კმ. თერჯოლიდან - 30 კმ. ქუთაისიდან - 65 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის უმაღლესი წერტილი, ოკრიბის პანორამა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

12. ცხრაჯვარი

მდებარეობა: რაჭის ქედი, ადგილ ცხრაჯვართან, 1500 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°22'11"; E 42°59'03". **მისასვლელი გზა:** ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზიდან, 3 კმ-ში, მანძილი თბილისიდან - 20 კმ. ტყიბულიდან - 10 კმ. ქუთაისიდან - 77 კმ, **ღირსშესანიშნაობა:** ტყიბულისა და ოკრიბის პანორამული ხედი

13. ნაქერალა

მდებარეობა: რაჭის ქედი, ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზაზე, რაჭა-იმერეთის საზღვარზე, 1217 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°22'33"; E 43°01'54". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 230 კმ. ტყიბულიდან - 10 კმ, ქუთაისიდან - 77 კმ.

ღირსშესანიშნაობა: რაჭის ქედის ყველაზე დაბალი წერტილი, ტყიბულისა და ოკრიბის პანორამული ხედი.

14. ოკრიბა-არგვეთის პანორამა

მდებარეობა: სოფელ ცუცხვათის სამხრეთით, ოკრიბა-არგვეთის სერზე, სიმაღლე 871 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°16'08"; E 42°53'30". **მისასვლელი გზა:** სოფელ ცუცხვათის სამხრეთით მიემართება საფეხმავლო მარშრუტი, მანძილი თბილისიდან - 255 კმ. ტყიბულიდან - 40 კმ. ქუთაისიდან - 35 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ქვემო იმერეთისა და ოკრიბის პანორამული ხედი.

15. ელიაწმინდის გორა

მდებარეობა: სოფ. გურნას სამხრეთით, 624 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°23'25"; E 42°50'03". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან 242 კმ. ტყიბულიდან 20 კმ, ქუთაისიდან (სოფ. ორპირის გავლით) 35 კმ, **ღირსშესანიშნაობა:** ოკრიბის პანორამა.

16. ტყიბულის ყველაზე მაღალი წერტილი

მდებარეობა: რაჭის ქედი, მთა მაწველა ადგილ მაწველას მიდამოებში, 1841 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°25'06"; E 42°58'48". **მისასვლელი გზა:** მწვერვალთან ახლოს მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით, ცხრაჯვარიდან ადგილ მაწველას მიდამოებში. მანძილი თბილისიდან - 225 კმ. ტყიბულიდან - 25კმ. ქუთაისიდან - 60 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ტყიბულის მუნიციპალიტეტის უმაღლესი წერტილი, იმერეთის პანორამა.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

17. თავშავას მთა

მდებარეობა: რაჭის ქედზე, სოფ. დღნორისას ჩრდილო-აღმოსავლეთით, 1769 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°29'26"; E 42°51'50". **მისასვლელი გზა:** ქვის გრუნტიანი გზა მიდის სოფელ დღნორისამდე, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით მიდის გზა, რაჭის ქედისკენ, სოფელი დღნორისა-თავშავა - 5 კმ. მანძილი თბილისიდან - 280 კმ (ქუთაისის გავლით). წყალტუბოდან - 70კმ, ქუთაისიდან - 50 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** მთა რაჭის ქედზე, პანორამა.

წყალტუბოს ყველაზე მაღალი წერტილი

მდებარეობა: ხვამლის კარსტული მასივი, მთა ხვამლის აღმოსავლეთით, 1841 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°30'03"; E 42°43'22". **მისასვლელი გზა:** მწვერვალთან ახლოს მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით ცაგერის მუნიციპალიტეტის

სოფელ ოყურეშიდან, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით, ოყურეში-ხვამლი - 15 კმ. ხვამლის მთის მიდამოებში. მანძილი თბილისიდან (წყალტუბოს გავლით) - 290 კმ. წყალტუბოდან - 40კმ. ქუთაისიდან - 60 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის უმაღლესი წერტილი, ოკრიბისა და იმერეთის პანორამა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

18. ზეკარის უღელტეხილი

მდებარეობა: მესხეთის ქედი, ქუთაისი-აბასთუმნის საავტომობილო გადასასვლელი, 2182 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°59'41"; E 42°51'50". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 265 კმ. ბაღდათიდან - 45 კმ. ქუთაისიდან - 70 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** პანორამა, ალპური მდელოები.

19. ოზჩის პანორამა

მდებარეობა: სოფელ ოზჩას სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე ლუხუტას აუზი, 360 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°05'27"; E 42°52'44". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 205 კმ. ბაღდათიდან - 15 კმ. ქუთაისიდან - 30 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ბაღდათის მუნიციპალიტეტის პანორამა

20. დიმის მღვიმე

მდებარეობა: ბაღდათის აღმოსავლეთით, სოფელი დიმი 360 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°05'27"; E 42°52'44". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 255 კმ. ბაღდათიდან - 5 კმ. ქუთაისიდან - 50 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** შემადღებული გორა, მახლობლად მცირე ზომის მღვიმე.

21. ბაღდათის ყველაზე მაღალი წერტილი

მდებარეობა: მესხეთის ქედი, მთა ნაღება, 2608 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°50'18"; E 42°54'55". **მისასვლელი გზა:** მწვერვალთან ახლოს მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით. მანძილი თბილისიდან - 265 კმ. ბაღდათიდან - 45 კმ. ქუთაისიდან - 70 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ბაღდათის მუნიციპალიტეტის უმაღლესი წერტილი, პანორამა.

ვანის მუნიციპალიტეტი

22. ბზვანის პანორამა

მდებარეობა: სოფელი ზედა ბზვანი, 309 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°03'51"; E 42°36'43". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 220 კმ. ვანიდან - 25 კმ. ქუთაისიდან - 40 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ვანის მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი წერტილი.

23. ვანის ყველაზე მაღალი წერტილი

მდებარეობა: მესხეთის ქედი, მთა მეფისწყარო, 2850 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 41°50'26"; E 42°39'55". **მისასვლელი გზა:** მწვერვალთან ახლოს მისვლა შესაძლებელია ჯერ საავტომობილო გრუნტის გზით, შემდეგ საფეხმავლო მარშრუტით, მანძილი თბილისიდან - 225 კმ. ვანიდან - 25კმ. ქუთაისიდან - 60 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ვანის მუნიციპალიტეტის უმაღლესი წერტილი, იმერეთის პანორამა.

ხონის მუნიციპალიტეტი

24. ამბახის მთა

მდებარეობა: სოფ. ზედა კინჩხას ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ-ით, 1447 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°31'47"; E 42°36'36". **მისასვლელი გზა:** სოფელ ზედა კინჩხიდან საფეხმავლო ბილიკი, მანძილი თბილისიდან - 305 კმ, ხონიდან - 35კმ. ქუთაისიდან - 65 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ცხენისწყლის ხეობის პანორამა.

25. გორმაღალის მთა

მდებარეობა: სოფ. ღვედის აღმოსავლეთით, მდინარე ცხენისწყლის მარცხენა მხარეს, 1474 მეტრი ზ. დ. **კოორდინატები:** N 42°27'51"; E 42°37'47". **მისასვლელი გზა:** სოფელ ღვედიდან საფეხმავლო ბილიკი 3 კმ, მანძილი თბილისიდან (წყალტუბოს გავლით) - 290 კმ, ხონიდან - 35კმ. ქუთაისიდან (წყალტუბოს გავლით) - 50 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** ხონის მუნიციპალიტეტის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე მთა, ცხენისწყლის აუზის პანორამა.

26. ხონის ყველაზე მაღალი წერტილი

მდებარეობა: ასხის მასივი, ადგილ საჩიქვანის ჩრდილოეთით, 1700 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°33'52"; E 42°36'40". **მისასვლელი გზა:** ზედა კინჩხიდან ადგილ საჩიქვანოს გავლით ჩრდილო-დასავლეთით მიმართება საფეხმავლო მარშუტი, სიგრძე - 8

კმ. მანძილი თბილისიდან - 318 კმ, ხონიდან - 40 კმ. ქუთაისიდან - 70 კმ. ღირსშესანიშნაობა: ხონის მუნიციპალიტეტის უმაღლესი წერტილი, იმერეთის პანორამა.


სამტრედიის მუნიციპალიტეტი

27. საჯავახოს პანორამა

მდებარეობა: სოფელ საჯავახოს მახლობლად, საჯავახო-ჩოხატაურის ავტომაგისტრალთან ახლოს, 152 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°06'00"; E 42°17'12". **მისასვლელი გზა:** მანძილი თბილისიდან - 270 კმ. სამტრედიიდან - 15 კმ, ქუთაისიდან - 50 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** კოლხეთის დაბლობის პანორამა.

28. სამტრედიის ყველაზე მაღალი წერტილი

მდებარეობა: სოფელ თხილაგანის მახლობლად, მდინარე ხევსწყლის სათავე, მთა „აკაკი შანიძე“, 1084 მეტრი ზ.დ. **კოორდინატები:** N 42°00'21"; E 42°25'04". **მისასვლელი გზა:** სოფელ თხილაგანის სამხრეთით, საფეხმავლო მარშრუტი - 5 კმ, მანძილი თბილისიდან - 290 კმ. სამტრედიიდან - 30 კმ, ქუთაისიდან - 65 კმ. **ღირსშესანიშნაობა:** სამტრედიის მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი ადგილი.



ნახ. №12. იმერეთის მუნიციპალიტეტების ყველაზე მაღალი წერტილები

პანორამულ ხედებში გაერთიანებულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი ადგილები. **საჩხერის** ყველაზე მაღალი წერტილი - ლებეურის მთა (2862 მ, რაჭის ქედი), იგი ასევე იმერეთის მხარის ყველაზე მაღალი წერტილია. **ვანის ყველაზე მაღალი წერტილი** - მთა მეფისწყარო (2850 მ, მესხეთის ქედი). **ხარაგაულის** ყველაზე მაღალი წერტილია მთა სამეცხვარიო (2642 მ, მესხეთის ქედი, იგი არის ასევე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის უმაღლესი წერტილი. **ბაღდათის ყველაზე მაღალი წერტილი** - მთა ნაღება (2608 მ. მესხეთის ქედი). **ჭიათურის ყველაზე მაღალი წერტილი** - მთა საწალიკე (1996 მ, რაჭის ქედი). **წყალტუბოს ყველაზე მაღალი წერტილი** - ხვამლის კარსტული მასივი, მთა ხვამლის აღმოსავლეთით, 1841 მ. **ტყიბულის ყველაზე მაღალი წერტილი** - მთა მაწველა (1841 მ, რაჭის ქედი). **ხონის ყველაზე მაღალი წერტილი** - ადგილ საჩიქვანის ჩრდილოეთით (1700 მ, ასხის მასივი). **ზესტაფონის ყველაზე მაღალი წერტილი** - მთა საპიშლისთავი (1088 მ, მესხეთის ქედის შტო-ქედი მამუკას სერის ქედი), **სამტრედიის ყველაზე მაღალი წერტილი** - მთა „აკაკი შანიძე“ 1084 მეტრი ზ.დ. **თერჯოლის ყველაზე მაღალი წერტილი** - ოკრიბა-არგვეთის სერის უმაღლესი მწვერვალი, 1041 მ. ქ. ქუთაისი - ქალაქ-მუზეუმის ტერიტორიული ერთეული, 347 მ.

აღსანიშნავია რომ, რამდენიმე მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი მწვერვალის დეტალური შეფასება მოხდა პირველად, დადგინდა მათი ზუსტი მდებარეობა და 2 მაღალ ადგილს მიენიჭა სახელწოდება. 1. სამტრედიის მაღალ წერტილს მიენიჭა აკადემიკოს აკაკი შანიძის სახელი და 2. თერჯოლის უმაღლეს წერტილს 1993 წელს აფხაზეთში დაღუპული გმირის, ამ მწვერვალთან ახლოს მცხოვრები, სოფელ გოგნის მკვიდრის - კახა ბრეგვაძის სახელი.

თავი 3. ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების ტურისტული მარშრუტები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი

1. ხარაგაული- ნუნისი-რიკოთი-ხევი-უბისა: ხარაგაული - მოლითი - ნუნისი - წიფა - რიკოთის უღელტეხილი - ხევი - ნადაბური - ბორითი - უბისა
2. ხარაგაული - ლელვანი - მარელისი - სამეცხვარიოს მთა: ხარაგაული - ჩხერის ციხე - ლელვანი - მარელისი - მდინარე ბჟოლის ხევი - რკინის ჯვარის მთა - სამეცხვარიოს მთა
3. ხარაგაული - ფარცხნალი - ლაშე - ბორითი - ღორეშა: ხარაგაული - ფარცხნალი - ხიდარი - ვარძია - კიცხი - ლაშე - შროშა - ბორითი - ამაშუკეთი - ღორეშა - სარგვეში - ბაზალეთი - ხარაგაული. (იხ. დანართი №14)

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტები

1. ჭიათურა-თირი-კაცხი-ვაჭვეი-ხრეთი: ჭიათურა-სალიეთი-მორძგვეთი-ნავარძეთი-კაცხი-ქვაცხე-ღვითორი-ვაჭვეი-ხრეთი-რგანი-ჭიათურა;
2. ჭიათურა-მღვიმევი-ზეკვეცა-ითხვისი-პერევისა: ჭიათურა-მღვიმევი-წირქვალი-ზედა ჭალოვანი-ხვაშითი-ვანი-ზეკვეცა-ვაკისა- ზოდი-დარკვეთი-ითხვისი-პერევისა;
3. ჭიათურა-სვერი-ბერეთისა-ნიგოზეთი-უსახელო: ჭიათურა-შუქრუთი-სვერი-ცხრუკვეთი-გეზრული-მანდაეთი-ტყემლოვანა-ზედა ბერეთისა-ნიგოზეთი-უსახელო-წასრი.(იხ. დანართი №15)

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტები:

1. ზესტაფონი-ბოსლევი-ამსაისი-შროშა: ზესტაფონი-ზედა საქარა-დილიკაური-გამოდმა ბოსლევი-ამსაისი-შროშა-ძირულა-ზესტაფონი;
2. ზესტაფონი- შორაპანი- მწყერისციხე-ტაბაკინი: ზესტაფონი-შორაპანი-ფუთი-მწყერისციხე-ალავერდი-კინოთი-ტაბაკინი-ცხრაწყარო;
3. ჭალატყე-ქვედა საზანო-I სვირი-აჯამეთი: ქვედა საქარა-ჭალატყე-ქვედა საზანო-I სვირი-II სვერი-სვეტმალალი-როდინაული-ცხენთარო-აჯამეთი. (იხ. დანართი №16)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტები:

1. **თერჯოლა-ჩხარი-გოგნი-ძვერი-სიქთარვა:** თერჯოლა-ჩხარი-გოგნი-ძვერი-ეწერი-სიქთავა-თერჯოლა;
2. **თერჯოლა-სკანდე-ჩიხორი-ზ.საზანო-ღვანკითი:**თერჯოლა-ზედა ალისუბანი-სკანდე-თავასა-თუზი-ჩიხორი-ზ. საზანო-რუფოთი-ტელეფა-ღვანკითი;
3. **ქვედა სიმონეთი-ნავენახევი-ნაგარევი-კვახჭირი-ჭოგნარი;** ქვედა სიმონეთი-ნახშილლე-ნავენახევი-ჭალასთავი-ნაგარევი-გოდოგანი-კვახჭირი-ჭოგნარი. (იხ. დანართი №17)

ტყიბულის ტურისტული მარშრუტები

1. **ტყიბული-მუხურა-ახალსოფელი-საწირე-ცუცხვათი:** ტყიბული-მუხურა-ტყიბული-ახალსოფელი-საწირე-დაბამველი-მუყნური-ცუცხვათი;
2. **მოწამეთა-გელათი-კურსები-ოჯოლა-ლეყერეთი:** მოწამეთა-გელათი-კურსები-ოჯოლა-ლეყერეთი;
3. **ტყიბული-სოჩხეთი-ძმუისი-ორპირი-ხრესილი:** ტყიბული-სოჩხეთი-წყნორი-ძმუისი-კისოეთი-კითხიჯი-ორპირი-ხრესილი-საწირე-ტყიბული. (იხ. დანართი №18)

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტები:

1. **ბაღდათი-საირმე-ქვასახტარა-მთა ნაღბა:** ბაღდათი-წყალთაშუა-საირმე-ქვასახტარა-მსხეთის ქედი-მთა ნაღბა;
2. **ბაღდათი-კაკასხიდი-ზეკარი-ხანი:**ბაღდათი-კაკასხიდი-ზეკარი-თავდავიწყების ჩანჩქერი-ხანი (5,6 ბუნების ძეგლები);
3. **ვარციხე-ფერსათი-ობჩა-საკრაულა:** ვარციხე-წითელხევი-ფერსათი-დიმი-1 და 2 ობჩა-ზედა დიმი-ზედა ზგაბი-წიფი-საკრაულა. (იხ. დანართი №19)

ვანის ტურისტული მარშრუტები

1. **ვანი-ჭყვიში-ტობანიერი-მაისიაური-ყუმური:** ვანი-ჭყვიში-შუამთა-ტობანიერი მიქელეფონი- ყუმური- მაისიაური-დუცხუნი;

2. ზედა ვანი-გადიდი-სულორი-უხუთი-ბაგინთი: ვანი-ზედა ვანი-გადიდი-სულორი-ძულუხი-რომანეთი-საპასია-უხუთი-ბაგინეთი-სალომინაო;

3. სალხინო-ბზვანი-ფერეთა-ზეინდარი-ამაღლება: ვანი-სალხინო-დიხაშხო-ისრითი-ზედა ბზვანი-ინაშაური-ზედა გორა-ფერეთა-ზეინდარი-ამაღლება-ქვედა ბზვანი-ვანი. (იხ. დანართი №20)

სამტრედიის ტურისტული მარშრუტები

1. სამტრედია-ვაზისუბანი-ტოლები-გორმაღალი-ჭოგნარი: სამტრედია-საჯავახო-ვაზისუბანი-ტოლები-ზემო ნოღა-ქვაყუდე-გორმაღალი-ჭოგნარი-საჯავახო;

2. დაფნარი-ნიგორზღვა-ზემო აბაშა-დიდი ოფეთი-გომნატეხები: დაფნარი-ნიგორზღვა-ზემო აბაშა-ქვემო აბაშა-დიდი ოფეთი-გომნატეხები-ქვედა ეწერი-დაბლა გომი-დაფნარი;

3. სამტრედია-კულაში-ნაბაკევი-ღანირი-დიდი ჯიხაიში-იანეთი: სამტრედია-კულაში-ნაბაკევი-ხუნჯულაური-ღანირი-კვირიკე-ჭაგანი-დიდი ჯიხაიში-იანეთი-პატარა ეწერი-მელაური-სამტრედია. (იხ. დანართი №21)

საჩხერის მუნიციპალიტეტის ტურისტული მარშრუტები:

1. საჩხერე-რკინიგზის სადგური - საჩხერის სამხარეთმცოდნეო - ეთნოგრაფიული მუზეუმი - საწერეთლო - ელისაბედ წერეთლის სასახლე-ნასტამბარი - წმინდა ნინოს ტაძარი-მოდინახეს ციხე-სიმაგრე - მდ. ყვირილის ხეობა- სარეკი-ბაჯითი-გაღმა მთა-ქვემო ხევის მთვარანგელოზის ტაძარი-მდ. ჯრუჭულის ხეობა-მღვიმეები-დარკვეთი - სარეკის საჰაერო-საბაგირო გზა-სარეკის ღვთაების ეკლესია-საჩხერე.

2. ჭალა-პერევი-მდ. ყვირილის ხეობა-მდ. შუშის ხეობა-რაჭის ქედის სამხრეთი ფერდობი-სპეთი-ჯრია-დარყა-ჭალა;

3. ქორეთი-მდ. ყვირილის ხეობა-უდერძის ტაძარი-პასიეთი-ქორეთის ტაძარი-”ბჟინევის ციხე”-პასიეთის ტბა-სოფ.ქორეთი. (იხ. დანართი №22).

დასკვნა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბუნებაში მრავალგვარი ძეგლია განლაგებული. არაორგანული ბუნების ძეგლი იქმნება ათასეული წლების განმავლობაში. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმისა და შინაარსის მიხედვით და სრულიად იდენტურად ერთმანეთს არ ემსგავსებიან. ბუნების ძეგლები განუმეორებელია და ზოგიერთი მათგანი ერთეული ეგზემპლარებია. შესაბამისად, დაზიანებით ან განადგურებით იკარგება ბუნების იშვიათი და უნიკალური ქმნილება, რომლის აღდგენა შეუძლებელია. საჭიროდ და აუცილებლად მიგვაჩნია, შეიქმნას კომპლექსური პროგრამა მათი შენარჩუნების, დაცვისა და გამოყენების შესახებ.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ზემოთ ჩამოთვლილი და აღწერილი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები დაცვის ობიექტებია. საჭიროა ძეგლთა აღრიცხვა და დაცვა, რათა შენარჩუნებული იქნას ბუნების ფენომენები. ყველა ადამიანის შეგნება როდია იმ დონეზე, რომ იგი სათუთად მოეკიდოს ძეგლს და არ დააზიანოს.

არაორგანული ბუნების ძეგლების დაზიანების შემთხვევები კი საკმაოდ გვაქვს. ბუნების უამრავი ძეგლი დაზიანდა ან საერთოდ მოისპო ცივილიზებულ მეოცე საუკუნეში.

მათ შორისაა ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული ცუცხვათის მრავალსართულიანი მღვიმოვანი. იგი თავისი სართულიანობის მიხედვით (11-13) რეკორდსმენია დედამიწაზე. მის ერთ-ერთ მღვიმეში („შეთქმულების მღვიმე“) იყო ლამაზი კეგლისებური (ბოთლისებური) სტალაგმიტები, რომლებიც გარს ერტყმოდნენ თოვლივით სპეტაკ ობელისკს. სამწუხაროდ, 1970 წელს, პირველი კომპლექსური ექსპედიციის ჩატარების შემდეგ, აღნიშნული ფორმები დაამტვრიეს და ნაწილ-ნაწილ განადგურეს ბუნების უძვირფასესი ნიმუშები.

თითქმის განადგურდა დინოზავრის ნაკვალევი სათაფლიაში, წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის დაცვის ოპტიმალური ვარიანტი. ანალოგიურ მდგომარეობაშია ნიანგისმაგვარი ცხოველის ნაკვალევი სოფ. ზედა საზანოში (თერჯოლის მუნიციპალიტეტში).

მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ გვადელებს კიდევ ბუნების ზოგიერთი ძეგლის შემდგომი ბედი, რომელთაც ჯერ-ჯერობით საფრთხე არ ემუქრება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგება არაორგანული ბუნების ძეგლების აღრიცხვისა და პასპორტიზაციის საკითხი, შემდეგ მათი დაცვისა და გამოყენების შესახებ. სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა მოხდეს ბუნების ძეგლების ადგილზე შესწავლა და მათი პასპორტიზაცია. ამისათვის კი სახელმწიფომ ხარჯები უნდა გაიღოს, რათა მომავალ თაობას გადავცეთ ერის საუნჯე - ბუნების ფენომენები.

და ბოლოს, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობამ გამოკვეთა შემდეგი საკითხები:

- 1) მოხდა იმერეთის ტერიტორიაზე არსებული ნაცნობი და დღემდე უცნობი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების დაჯგუფება გარკვეული კომპონენტების მიხედვით;
- 2) შეიქმნა იმერეთის საერთო რუკა, სადაც დატანილია ნაშრომში მოცემული ყველა ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა;
- 3) თითოეული მუნიციპალიტეტისათვის, ცალ-ცალკე შეიქმნა ტურისტული რუკები მარშრუტებით.
- 4) გამოიკვეთა ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების დაცვის პრობლემები;
- 5) შემუშავდა ტურისტული ღირსშესანიშნაობების დაცვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, კერძოდ, იმერეთის რეგიონში ტურიზმის ინდუსტრიის უკეთ განსავითარებლად საჭიროა:
 - ტურისტული პროდუქციის წინ წამოწევა და ტურისტული ინფორმაციის სამსახურის არსებობა (ინფორმაცია ტურისტებისთვის იმაზე, თუ რა შეუძლიათ ნახონ, ან როგორ გაატარონ დრო ამ კონკრეტულ ადგილას);
 - მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა (დაბინავებისა და კვების ადგილები);
 - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
 - მოგზაურობების ორგანიზება (ტუროპერატორები, ტურისტული სააგენტოები, გიდები);

- კომპლექსური პროგრამის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი ღირსშესანიშნაობების აღრიცხვას, მათ პასპორტიზაციას, დაცვასა და შენარჩუნებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაგრატიონი ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფია“, „მეცნიერება“, თბ. 1997
2. გეგუჩაძე შ., „რიონ-ყვირილას წყალგამყოფის გეოლოგია და განვითარების ისტორია“ თბ., 1973.
3. გობეჯიშვილი რ. „საქართველოს რელიეფი“. გამომცემლობა „უნივერსალი“ თბ. 2011. 258 გვ.
4. დვალაშვილი გ. „საჩხერე-ჭიათურა“ (ტურისტულ-გეოგრაფიული ექსკურსი) „თბილისი“ 2013, 368 გვ.
5. მარგველანი გ. მდ. ყვირილას აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დახასიათება. საქ. სსრ გეოგრ. საზ. შრ., ტ. XI, თბ., 1970, გვ. 106-113.
6. მარუაშვილი ლ. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თსუ. თბ., 1964, გამოცემა I, 242 გვ.
7. საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბილისი 2009
8. საქართველოს სსრ წითელი წიგნი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1982, გვ 256
9. ტატაშიძე ზ. „მდინარე ყვირილის აუზის გეომორფოლოგიისათვის (სათავიდან შორაპნამდე)” საკანდ. დისერტაცია, თბ. 1954
10. ტატაშიძე ზ., ზემო იმერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის კარსტული მღვიმეები. თსუ შრ., ტ. 72, თბ., 1959.
11. ტატაშიძე ზ. წიქარიშვილი კ. ჯიშკარიანი ჯ. „საქართველოს კასტული მღვიმეების კადასტრი“ (შრომათა კრებული, ახალი სერია 3 (82), თბ. 2009
12. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. I-XI თბ., 1975-1987
13. ხარაძე კ. „საქართველოს ბუნების ძეგლები“. თბ 2014, 424 გვ.
14. წიქარიშვილი კ. ჩხეიძე ო. „იმერეთის გეომორფოლოგია“ ნაწილი I, II, თბ. 2003-2004, „მეცნიერება“.
15. დაცული ტერიტორიების სააგენტო, <http://apa.gov.ge/ge/protected-areas/Naturalmonument>

დანართი

დანართი №1. პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი




დანართი №2. წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლი





დანართი №4. ოკაცეს (კინჩხას) ჩანჩქერის ბუნების ძეგლი



დანართი №5. ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი



დანართი №6. იმერეთის ბუნების ძეგლები

№	მუნიციპალიტეტი	იმერეთის ბუნების ძეგლები
1	ქ. ქუთაისი	1
2	ხარაგაული	0
3	საჩხერე	0
4	ჭიათურა	0
5	ზესტაფონი	0
6	თერჯოლა	3
7	ტყიბული	3
8	წყალტუბო	10
9	ბაღდათი	0
10	ვანი	0
11	ხონი	2
12	სამტრედია	0
ჯამი		19

დანართი №7. იმერეთის ბუნებრივი ღირსშესანიშნავი მდინარეული ხეობები

№	მუნიციპალიტეტი	ბუნებრივი ღირსშესანიშნავი მდინარეული ხეობა
1	ქუთაისი	1
2	ხარაგაული	2
3	საჩხერე	2
4	ჭიათურა	3
5	ზესტაფონი	4
6	თერჯოლა	2
7	ტყიბული	2
8	წყალტუბო	1
9	ბაღდათი	3
10	ვანი	3
11	ხონი	1
12	სამტრედია	1
ჯამი		25

დანართი №8. იმერეთის მდინარეული კუნძულები

№	მუნიციპალიტეტი	მდინარეული კუნძულები
1	ქუთაისი	1
2	ხარაგაული	0
3	საჩხერე	0
4	ჭიათურა	0
5	ზესტაფონი	1
6	თერჯოლა	1
7	ტყიბული	1
8	წყალტუბო	1
9	ბაღდათი	0
10	ვანი	0
11	ხონი	2
12	სამტრედია	2
ჯამი		9

დანართი №9. იმერეთის კანონები

№	მუნიციპალიტეტი	კანონები
1	ქუთაისი	0
2	ხარაგაული	3
3	საჩხერე	0
4	ჭიათურა	3
5	ზესტაფონი	0
6	თერჯოლა	2
7	ტყიბული	1
8	წყალტუბო	0
9	ბაღდათი	0
10	ვანი	1
11	ხონი	1
12	სამტრედია	0
ჯამი		11

დანართი 10. იმერეთის ჩანჩქერები

№	მუნიციპალიტეტი	იმერეთის ჩანჩქერები
1	ქ. ქუთაისი	0
2	ხარაგაული	1
3	საჩხერე	1
4	ჭიათურა	2
5	ზესტაფონი	1
6	თერჯოლა	1
7	ტყიბული	3
8	წყალტუბო	0
9	ბაღდათი	2
10	ვანი	0
11	ხონი	1
12	სამტრედია	0
ჯამი		12

დანართი 11. იმერეთის ტბები

№	მუნიციპალიტეტი	იმერეთის ტბები
1	ქ. ქუთაისი	1
2	ხარაგაული	1
3	საჩხერე	4
4	ჭიათურა	2
5	ზესტაფონი	1
6	თერჯოლა	1
7	ტყიბული	1
8	წყალტუბო	2
9	ბაღდათი	1
10	ვანი	1
11	ხონი	2
12	სამტრედია	1
ჯამი		18

დანართი №12. იმერეთის კლდე-სვეტები

№	მუნიციპალიტეტი	კლდე-სვეტები
1	ქუთაისი	1
2	ხარაგაული	4
3	საჩხერე	1
4	ჭიათურა	4
5	ზესტაფონი	1
6	თერჯოლა	2
7	ტყიბული	1
8	წყალტუბო	2
9	ბაღდათი	2
10	ვანი	4
11	ხონი	1
12	სამტრედია	0
ჯამი		23


დანართი №13. ჭიათურის მუნიციპალიტეტის მღვიმეები

	ტერიტორიული ორგანო	დასახლებული პუნქტები	ბუნების ძეგლი	ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა	მდინარე
1	ქალაქი ჭიათურა	ქ. ჭიათურა		ჭიპიანიკლდის მღვიმე	ყვირილა
2.	კაცხი	ნავარმეთი		ნავარმეთის ჭა	ყვირილა
		სალიეთი			ყვირილა, კაცხურა
		მორმგვეთი			ყვირილა
		კაცხი		კაცხის I და II მღვიმე, კაცხის სვეტი, ხორბოლისკლდის მღვიმე, ჭალისკლდის ჭა, ჭალისკლდის მღვიმე	კაცხურა
		ჯოყეთი			კაცხურა
		ეწერი		ქვაბთაკირი	შოარონა
3	ქვაციხე	ქვაციხე			ბუჯა, კაცხურა
		საკურწე		ცხრაპირას ვოკლუზი	ბუჯა, ღვითორი, ცხრაპირი
		რცხილათი			ბუჯა
		ბილა			მამარულა
4	ვაჭევი	ვაჭევი		უნდოს მღვიმე, ვარსინას (ვაჭევის) მღვიმე, ვარხმელას (კოკოზოურის) მღვიმე, ხერგულისკლდის (გულგულისკლდის) მღვიმე,	კაცხურა, ღვითორი
		ღვითორი		ღვითორის I, II და III მღვიმე, ვერბილაურის შახტი	ღვითორი
		მელუშეთი			ბუჯა, ღვითორი
		ჯოლხეთი			
5	სოფელი რგანი	რგანი		მენაფირამეების I და II ჭა, რგანისკლდის მღვიმე, ბნელაკლდის მღვიმე, გვარჯილასკლდის მღვიმე, ღამეკლდის I და II მღვიმე, ფიცისკლდის ჭა,	კაცხურა, რგანისღელე


6	სოფელი ხრეთი	ხრეთი		ხრეთის მღვიმე-საყინულე, ქვაყუნტია, ბუჯას კარიანი კლდის მღვიმე, შემორევას ტბა, წილთოს I და II მღვიმე, შევილაძეების (გუბურების) მღვიმე, ბურღნალას შახტი, ბურღნალას ჭა, დიდი საწალიკის უფსკრული, პატარა საწალიკის უფსკრული, საწალიკის თოვლიანი ჭა, ხრეთის ჭა-საყინულე, საწკრიალოს (ცერცვაძის) ჭა	ბუჯა, კაცანა, ორჯალა, კაცხურა, ბარხმალა
7	სარქველეთუბანი	სარქველეთუბანი		თედოს მღვიმე	რგანისღელე,თაბაგრე ბის ჭალა
		ზედა რგანი		ფარდულისკლდის მღვიმე, სამეგრდნოს პანორამა	რგანისღელე, ბოგირისწყალი,
		ბუნიაკური		შვილობისას მღვიმე, საქაჯეკარის მღვიმე, ჭერულის მღვიმე	რგანისღელე,თაბაგრე ბის ჭალა
		თაბაგრები		ჯვარის მღვიმე, ჯუღუსის მღვიმე, ნამძღვევიკლდის მღვიმე, ზესხას I და II მღვიმე, გელას მღვიმე, დამურების მღვიმე, კალაპოტაკლდის I და II მღვიმე, დამეწიგნაკას მღვიმე	თაბაგრების ჭალა, ბოგირისწყალი
8	წირქვალი	მღვიმევი		„ჭიათურა 100“-ის მღვიმე, ტუშუანას მღვიმე, მღვიმევის მღვიმე	ყვირილა, ბოგირისწყალი, წყალწითელა
		ხალიფაური		კვატიას მღვიმე, კვატიას ფარდული, ბოჩოკლდის მღვიმე, ხალიფაურის მღვიმე	ბოგირისწყალი, წყალწითელა
		წირქვალი		ბოგირისკლდის I და II მღვიმე	ბოგირისწყალი, ნეკრისა
		ქვედა ჭალოვანი			ბოგირისწყალი, ნეკრისა, ციხისწყალი
9	ხვამითი	ზედა ჭალოვანი			ციხისწყალი, სათოჰელა
		ხვამითი			სათოჰელა, მუხნარი
		კვახაჯელეთი			სათოჰელა, ციხისწყალი,
		ვაკევისა			სათოჰელა
		ვანი			სათოჰელა, მუხნარი, ვანციხა, დიდღელე,
10	ზოდი	ზოდი		კლდისწყლის (ნეკრისის) მღვიმე, ბრეგვაძეების კლდის მღვიმე, სამერცხლეკლდის I და II მღვიმე, ხვედელიძეების კლდის მღვიმე, ჯრუჭულის მღვიმე, ქვედა ზოდის I მღვიმე, თაროკლდის (რაჭველების) მღვიმე, ციხისწყლის კანიონი	ჯრუჭულა, ციხისწყალი, წყალწითელა, ნეკრისა
		დარკვეთი		მელაკლდის მღვიმე, წინწკლის მღვიმე, სამკაცას მღვიმე, სამგლეკლდის მღვიმე, ორმოების (კოჟების) მღვიმე, დარკვეთის მღვიმე,	წყალწითელა, შაულეთი
		მოხოროთუბანი			ციხისწყალი
		ზედუბანი		ზედუბნის მღვიმე	ყვირილა

11	ითხვისი	ითხვისი		მღვიმე „თსუ - 95“, ყვირილის კანიონი	ყვირილა, შაულეთი, თამარჭალა, უნჯარეთი
		ბჟინევი			შაულეთი, ფრონე
		ბეგიაური			
12	პერევისა	პერევისა		წილთოს კანიონი, ორთვალაკლდის (წილთოს III) მღვიმე	ყვირილა
		შუქრუთი		აკვანას მღვიმე, ტოლონკლდის მღვიმე, სატოპავის მღვიმე	ყვირილა
		კალაური			ცირტოსდელე,
		სკინდორი		ღურღუმელას ტბა	ფრონე, ღურღუმელა
		ჭილოვანი			
		წინსოფელი			ყვირილა, ღურღუმელა
13	ნიგოზეთი	ზედა ბერეთისა		პირალიაკლდის მღვიმე	დუმალა, ახაშმულის დელე
		ქვედა ბერეთისა		საწურბლიის შახტი	ახაშმულის დელე
		წყალშავი			კოლოთოსდელე
		ნიგოზეთი		ქვაბისას მღვიმე, ნიგოზეთის (ჯიხურა) მღვიმე, სადათვიასკლდის მღვიმე, პატარა სადათვიასკლდის მღვიმე	ფრონე, კოლოთოსდელე
		უსახელო			ფრონე, დიდბოგირისდელე, ბოლიერტისდელე, დრიმისტისდელე
		წასრი			ფრონე
		მერევი		სარჩომისკლდის I,II და III მღვიმე	ფრონე, მარღვენაურისდელე, ცილოთოსდელე, დარზაიმესდელე
გუნდაეთი		ნახიზნების მღვიმე, სამროხიას მღვიმე, სამჭინკიას მღვიმე, საბიკისწყაროს მღვიმე, სამელეკლდის მღვიმე,	ფრონე		
14	მანდაეთი	მანდაეთი		მანდაეთის მღვიმე, ზაქარიასკლდის შახტი,	მლაშეს დელე
		ტყემლოვანა			ხელმოსულა, მლაშეს დელე
		მეჩხეთური			დუმალა
		ქბილარი			
		ჩხირაული			ხელმოსულა, ნაღორდელე
15	სვერი	სვერი		სვერის შთენილი კლდე, კოტიასკლდის (სვერის ქვაბკარის) მღვიმე, ექვთიმესკლდის მღვიმე, კუდურებისკლდის მღვიმე, დევისმუხლის I,II, III და IV მღვიმე, სვერის ჭა, წილთოს I და II მღვიმე	ფრონე
		ცხრუკვეთი			რეკევისა
		თვალუეთი		თვალუეთის ჩანჩქერი	ტყემალი ხევი, სამროხია
16	სოფელი გეზრული	გეზრული			გეზრულა

დანართი №14. ხარაგაულის ტურისტული რუკა



დანართი №15. ქიათურის ტურისტული რუკა




დანართი №16. ზესტაფონის ტურისტული რუკა



დანართი №17. თერჯოლის ტურისტული რუკა



დანართი №18. ტყიბულის ტურისტული რუკა



დანართი №19. ბაღდათის ტურისტული რუკა





დანართი №21. სამტრედიის ტურისტული რუკა



დანართი №22. საჩხერის ტურისტული რუკა

